

ივერია

ფასი ნომრისა 10 კაპეიკი.

№ 20

კვირა, 16 ივლისი

ქოველკვირული გაზეთი

ფასი წლის დამლევამდის 3 მან.; სუთი თვით 2 მან.

1877—1906

ადრესი: ცფილისი, ფრეილინის ქ., № 5. ცფლფ. № 922.

სარჩენი: — დიქტატურა. — სათაბიროს დათხოვნა, ურავლი-
სა. — ჯარი და რევოლუცია, კ. ს. — ისა. — სხვათა შორის, ნიკ. უალი-
შვილისა. — პატარა ფიქრები, ა. — ლისა. — დამოუკიდებელი სახანა-
ლო, მ. — ისა. — წვრილი საერთო ერთეული, ქუთათურისა. — კრუბ-
ზე, (ამბავი) დ. ქალეველისა.

დიქტატურა

წარსულ შაბათს მიწას მიაბარეს გვაში სათავად-ახნაურო
გიმნაზიის ინსპექტორის შიო ჩიტაძისა, რომელიც იმსხვერ-
პლა და უდროვოდ წუთი-სოფელს გამოასალმა ბოროტ მთა-
ვრობის გამხეცებულმა ძალამ. აწინდელი გაბრწყნილი წეს-
წყობილება ირღვევა, თვითმპყრობელობა სულს ჰდაფავს,
მაგრამ ჯერ კიდევ, სანამ სული მთლად არ დაუღვია, აუა-
რებელ მსხვერპლს იწირავს და ცდილობს, რაც შეიძლება,
მეტი სასარგებლო კაცები მოაკლოს საზოგადოებას. ეს ძალ-
მომრეობა მთავრობისა გუშინდელი ამბავი არაა და უბედურ
რუსეთის იმპერიაში ყოველი მოქალაქე შეჩვეულია ამას. მთ-
უფრო შეჩვეული ვართ ამ ძალმომრეობას ჩვენ, რომლებმაც
ჩვენის ღირსების შელახვით, აუარებელ სისხლის დაღვრით და
ქონების განადგურებით ვიგემეთ მისი სიმკაცრე და შეუბრა-
ლებლობა. მაგრამ დროგამოშვებით მოხდება ხოლმე ისეთი
ამბავი, რომელიც ახლანდელ მთავრობის ყაჩაღებისგანაც კი
თითქოს მოულოდნელია და ამიტომ, მიუხედავად ჩვენის
„შეჩვევისა“, ყოველ ადამიანს ააშფოთებს და განწირულებით
თავისთვის აკითხვინებს: ნუ თუ მართლა შესაძლებელია ამ
ზომამდის მივიდეს ბარბაროსობა და კაცს—თუნდ იგი ბრმა
ავაზაკი იყოს—ასე და ამგვარად გაუქრეს გულში ყოველი
ნაპერწყალი კაცობის და ადამიანობისა? შიო ჩიტაძის მხე-
ცური მკვლელობა ერთი ასეთი ამბავია და იგი სასხლის წაუ-
შლელ ასოებით ჩაიწერება დღევანდელ ძალის მქონეთა ავა-
ზაკობის ისტორიაში.

შიო ჩიტაძის ასე ტრაგიკულად სიკვდილი, ამაშფოთე-
ბელი და სამწუხაროა არა მარტო როგორც სიკვდილი ადამი-
ანისა, არამედ როგორც დაკარგვა საზოგადოებისთვის მშრომელ
პიროვნებისაც. ჩვენში, სადაც გონებრივი მომზადება და ძალა
ასე მკირვა, სადაც მომზადებული და საზოგადოებრივად მო-
მქმედი ადამიანები სანთლით საძებნელი არიან, საზოგადოე-
ბრივ ასპარეზზე მოსაქმე პატარა მუშაკიც კი დიდად მისამ-
ჩნევი და დასაფასებელია და მისი დაკარგვა ფრიალ საგრძნო-
ბია. მთ უფრო საგრძნობი და სამწუხაროა უდროვოდ და-
ღუპვა შიო ჩიტაძისა, რომელიც საფუძვლიანად მომზადებუ-
ლი და იდეალურ მისწრაფებით აღურთოვანებული კაცი იყო.
კრატა ხანია, რაც მან ქართულ პრესისაში მუშაობა დაიწყო
და ყველანი სიამოვნებით ვიძეღვანებდით, რომ მისი შრომა
ნაყოფიერი იქნებოდა ჩვენი საზოგადოებისათვის.

და, აი, ერთი ვანდალის ტყვიამ უცებ სიციცხლე მო-
უსპო ამ ჩვენთვის ფრიალ სასარგებლო ადამიანს. სათავად-
ახნაურო გიმნაზიის შენობიდან პოლიციებისტერს ყუმბარა
ესროლეს ტერორისტებმა. ყუმბარა გასკდა, პოლიციებისტერი
დაიჭრა, მაგრამ რა შუაშია აქ ჩიტაძე, რა შუაში არიან შე-
მთხვევით იქ მყოფი მასწავლებლები? ბიუროკრატია და მისი
მცველები ამას, რასაკვირველია, არ კითხულობენ: ისინი
შეცვივდენ შენობაში, ტყვიით განგმირეს ჩიტაძე, სცემეს და
დასჭრეს მასწავლებლები, აიკლეს კერძო ბინა, გაჰქურდეს
იქაურობა და მშვიდად გაუღდენ თავიანთ გზას. მათი დასჯა
ამგვარ საქციელისთვის მთავრობას ფიქრად არ მოსვლია მაშინ
და არ მოსდის დღესაც, — კაზაკების ნადირობა უარალო,
მშვიდ მოქალაქეებზე ჩვეულებრივ მოვლენადაა დღეს ჩვენში
გადაქცეული.

ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან მთელი რუსეთი და
კერძოდ ჩვენი მხარე სამხედრო კამარლას აქვს ხელში ჩაეა-
რღნილი. მთელი რუსეთი სატრაპიებად დაიყო, რომლებსაც
ბატონობენ დიქტატურული უფლებებით აღქურვილი გენე-
რალ-გუბერნატორები. და ვინ იცის, კიდევ რამდენ სისხლს
დაღვრიან და რამდენ ადამიანს გამოასალმებენ წულისოფელს
ახლანდელი გამგებლები, ვიდრე გაძლიერებული სახალხო
მოძრაობის ნაკადული მათ წალეკავს და თავისთვის თავისუ-
ფალ გზას გაიწმენდს!

ვითომ გენერალგუბერნატორობა და სამხედრო წესები
„დროებითა“ ღონისძიებად იყო მიჩნეული, რომელიც უნდა
მოსპობილიყო, როგორც კი ახალი კონსტიტუციონური
წესწყობილება დამყარდებოდა და შევიდოდა ძალაში. ამიტომ
მთელი რუსეთი მოუთმენლად ადევნებდა თვალყურს სახელ-
მწიფო სათაბიროს მოქმედებას და ელოდა ქალაქებზე დაი-
რებულ უფლებრივ წყობილების განხორციელებას. მთავრობამ,
როგორც ყოველთვის, აქაც სიბეცე გამოიჩინა და მისთვის
უსიამოვნო პარლამენტი დაითხოვა და დებუტატები გარეყა-
თვითმპყრობელობა და კონსტიტუცია ორი ერთმანეთის შეუ-
თანხმებელი დაწესებულებაა, ორივეს ერთად არსებობა არ
შეიძლება, ხოლო რუსეთში ბიუროკრატია შეუთანხმებელის
შეთანხმება მოინდომა და პარლამენტიც ისეთი გამოიგონა,
რომელიც არაფერი არ შეჰკვეცდა და არ შეზღუდვდა თვით-
მპყრობელობას. მიუხედავად ამისა, რუსეთის პირველმა სათა-
ბირომ, „ძირითად კანონებითა“ მუხრუქ-მოდებულია, მაინც
რუსული მთავრობასთან ბრძოლის გამართვა და პარლამენტა-
რული საქმიანობა. მაშინ მთავრობამ იგი შინ გაისტუმრა
და ახალ პარლამენტის მოწვევა ვითომ შევდევნი წლის თებე-
რელამდის გადასდვა. ბ. ასე, დღეს სახელმწიფოს მართვა-გამგე-
ობა ისევ თვითმპყრობელობა რეჟიმმა დაისაკუთრა ფაქტობრივად
და ფორმალურადც. მოძრაობის მოლოდინში მთავრობა ხიშ-

ტებს ამრავლებს და შესაფერ ინსტრუქციებს აძლევს თავის გენერალ-გუბერნატორებს. ცხადია, მთავრობას რომ გარემოება ხელს შეუწყობდეს, ესე იგი ხალხი რომ მოთმინებით მოიხრიდეს თავს პოლიტიკურ მტარვალობის უღელ ქვეშ, თებერვლის შემდეგაც ბევრი კოკა წყალი ჩაივლის, ვიდრე მთავრობა რუსეთში ახალ პარლამენტს მოიწვევს.

მაგრამ ექნება კი თვითპყრობელობას „ხელის შემწყობი გარემოება?“ ბიუროკრატია არც ისე ბრა, არ ხედავდეს, რომ რუსეთის ხალხი ძველ რეჟიმს არას გზით აღარ შეურიდდება, და ძნელად დასაჯერებელია, რომ იგი დღეს შესაძლებლად სთვლიდეს იმ პარლამენტარულ სათავის სამუდამოდ მოსპობას, რომელიც 17 ოქტომბრის შემდეგ არის დაწყებული. მხოლოდ საქმე ისაა, თუ როგორ და რით გამოხატავს ხალხი თვითპყრობელობისადმი შეურიგებლობას. თუ თვითპყრობელობის დამარცხებისა და კონსტიტუციონურ წესწყობილების დამყარებისთვის ერთადერთ საშუალებად დავსახავთ მხოლოდ შეიარაღებულ აჯანყებას, მთავრობასა და მის სამხედრო ძალასთან ხალხის შეიარაღებულ ბრძოლას, იმ შემთხვევაში უნდა აღვიაროთ, რომ თვითპყრობელობის გამარჯვება რუსეთში უზრუნველყოფილია. მთავრობას დღესაც თავის მხარეზე ჰყავს უზარმაზარი ჯარი, რომელთანაც საბრძოლველად ხალხს, დღეს-დღეობით მაინც, არავითარი ტექნიკური ძალა არ მოეპოვება.

მაგრამ მთავრობის ეს უპირატესობა მაინც იმის მომასწავებელი არაა, რომ რუსეთში შეიძლება საბოლოოდ ისევე თვითპყრობელ რეჟიმის გამეფება. შეუძლებელია ხანგრძლივად იარსებოს ისეთმა მთავრობამ, რომელიც მარტოდონდნ ხიშტებს ეყრდნობა. რუსეთში კი თვითპყრობელ მთავრობის მფარველი და ძალის გამოხატველი მხოლოდ ხიშტია. ზნეობრივი ძალა და ავტორიტეტი მას არც ერთ საზოგადოებრივ კლასში არ მოეპოვება. და ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძველ რეჟიმს რუსეთში მომხრე თითქმის აღარა ჰყავს და საზოგადოების უმრავლესობა აუცილებლად სთვლის სახელმწიფოში უფლებრივ წყობილების დამყარებას. იმ საფეხურზე, რომელზედაც არის რუსეთში მიღწეული სოციალ-ეკონომიური განვითარება, სახელმწიფოებრივ ცხოვრების ბიუროკრატულად მართვა-გამეგობა ყოველად შეუძლებელია.

ამ ზოგად მიზეზს გარდა ამჟამად რუსეთში არის ისეთი ეკონომიური მდგომარეობა, რომელიც შლის მთელ სახელმწიფოს ორგანიულ ძალას და ძირს უთხრის თვითპყრობელობას. ესაა—უმამულობა და შიმშილი სოფელში და კრიზისი ვაჭრობა-მრეწველობაში. ამ ეკონომიურ გაქირვების ნიადაგზე მოსალოდნელია დიდი არეულობა, როგორც სოფლად, ისე ქალაქად. სტიქიური აგარაული მოძრაობა, რომელიც დღესაც ჭლიერია სოფელში, უქვევლია, თანდათან იმატებს და ბევრ შემამულეთა ქონებას იმსხვერპლებს. გაფიცვები და საშუაოს უქონლობა ქალაქად კიდევ უფრო დასცემს ვაჭრობა-მრეწველობას და გაძლიერებს საერთო უკმაყოფილებას. ეკონომიურ კრიზისთან მჭიდროდ შეკავშირებულია კრიზისი სახელმწიფოს ფინანსებისაც. ახლანდელ მთავრობას ნდობა შინაც დაკარგული აქვს და გარდაც, ხაზინის ცარიელ კასის გასაცხებად სესხის მოპოვება გაუძნელდება და ამიტომ შინაურ ეკონომიურ კრიზისით გამოწვეული კრიზისი ფინანსებისა მთელ სახელმწიფოს გაკოტრების კარამდის მიიყვანს. ასეთ გარემოებაში შეუძლებელია ბიუროკრატიაში ბიუროკრატულად რომ მოახერხოს ქვეყნის მართვა-გამეგობა

და შესძლოს უპარლამენტოდ იოლად წასვლა. ამიტომ ასეთი თუ ისეთი პარლამენტი ისტორიული აუცილებლობაა რუსეთისათვის და მას ვერ აიშორებს ხიშტების მოიმედვე თვითპყრობელობაც.

მაგრამ საკითხი ის არის, თუ რა შედეგნილობის იქნება ის პარლამენტი, რომელიც ახლანდელ დათხოვნილ სათათბიროს ადგილას უნდა იქნეს მოწვეული. მთავრობას, უქვევლია, იმედი აქვს, რომ შემდეგისთვის მეტ თანაგრძობას მოიპოვებს თავად-აზნაურობასა და ბურჟუაზიაში. იგი სასტიკ ღონისძიებას მიიღებს გლეხების წინააღმდეგ, რომელნიც მემამულეთა „კერძო საკუთრებას შეეხებიან“, სასტიკ ზომებსავე მიიღებს გაფიცულ თუ უმუშევრად მყოფ მღელვარე პროლეტარიატის წინააღმდეგ, შავ რაზმელებს მიუსყვებს ურიბსა და „ინოროდებს“, რომელიც კონკურენტები და „უცხო ელემენტები“ არიან „ნაციონალურ“ ბურჟუაზიისთვის, და ასე, მუშებისა და გლეხების სისხლის დაღვრით, ურიებისა და „ინოროდების“ აკლებით,—გულს მოუვებს და ქომაგობას გაუწევს მშრომელთა ეკონომიურ მოძრაობით დაშინებულ მქონებელ კლასებს. ამგვარ მფარველობის საფუძვლით მთავრობას იმედი აქვს, რომ ახალ პარლამენტში „ზომიერებს“ მეტი ძალა ექნებათ და მასა და ხალხის წარმომადგენლებს შორის კონფლიქტი მოისპობა.

თუ რამდენად გამართლდება ეს მოლოდინი, ამის თქმა დანამდილებით წინდაწინ შეუძლებელია. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ძლიერი და სასტიკი იქნება მშრომელ ხალხის კლასობრივი ბრძოლა სოფლად და ქალაქად და რაოდენ გავლენას იქონიებს მასზე არჩევნების დროს რეაქციის ძალმომრეობის „სკოლა“.

სათათბიროს დათხოვნა

სივლისის ბრძანებით ხელმწიფემ დაითხოვა სათათბირო. ამ ბრძანებას რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში განუზომელი მნიშვნელობა ექმნება. მართალია, ყველა სახელმწიფოში, სადაც ხალხის წარმომადგენლობა არის შემოღებული, ხელმწიფეს უფლება ეძლევა დაითხოვოს პარლამენტი და ხალხს დეპუტატები ხელმეორედ აარჩეინოს, და ასეთივე უფლება რუსეთის ხელმწიფესაც აქვს, მაგრამ სათათბიროს დათხოვნას მაინც განსაკუთრებული ხასიათი და მნიშვნელობა ეძლევა.

დასავლეთ ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოში რადეც პარლამენტს რამე უთანხმოება მოსდის მთავრობის უმადლეს მოხელეებთან და რომელიმე მნიშვნელოვან საკითხში მინისტრები და თვით ხელმწიფე არ ეთანხმებიან ხალხისგან არჩეულ წარმომადგენელთა სურვილებს, ხელმწიფე „აპელაციით“ ხალხს მიმართავს,—პარლამენტს ითხოვს, დაუკონებლივ ხელმეორედ აარჩეინოს ახალ წარმომადგენლებს, რომ ამ ახლად არჩეულმა წარმომადგენლებმა უთანხმოების გამოწვევს საკითხის შესახებ თავისი შეხედულება წარმოთქვან და ამ წარმომადგენლებმაც თუ ისე ის მოსთხოვს ხელმწიფეს, რასაც წინანდელი პარლამენტი ითხოვდა, მაშინ ხელმწიფე და მინისტრები უაღფეხუდა აჩაან პარლამენტის სურვილს დაემორჩილონ და ასრულონ პარლამენტის გადაწყვეტილება, რომლის თანახმანიც არ არიან.

და ასე უნდა იყოს ყველგან, სადაც პარლამენტი დეპუტატები მხოლოდ მოსაჩვენებლად არ არის შემოღებული და სადაც თვითპყრობელობამ მართლაც დაუთმო სახელმწიფო

ფო საქმეების მართვა და გამგეობა ხალხს. სადაც ხალხი ნამდვილ ბატონად ითვლება სახელმწიფოში, იქ ხალხის სურვილი ხელმწიფისთვისაც სავალდებულოა.

რუსეთში ხალხმა საერთო ბრძოლით გამოაცემინა მთავრობას მანიფესტო სათათბიროსა და სხვა და სხვა ძირითად პოლიტიკურ თავისუფლების შესახებ და ამ წლის აპრილში ხალხის წარმომადგენელთაგან შემდგარი საკანონდებლო „დუმა“ მოაწვევინა. მაგრამ იმ თავითვე ცხადი იყო, რომ ძველ წყობილების დროს აღზრდილი მინისტრები და ხელმწიფის ახლობელები ყველა ამ უფლებებს „უთმობდნენ“ ხალხს, როგორც „ქვეშემრდომს“, და სახელმწიფოს ბატონად ისევ თავის თავს თვლიდნენ. ეს მათი შეხედულება აშკარად სჩანდა ყოველ მანიფესტში, — ამ მანიფესტების კილო და კიდევ უფრო მანიფესტების აღმასრულებელთა უტიფრობა ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოში „ბატონი“ არ გამოცვლილა, რომ გუშინდელი მონა-ხალხი ისევ მონად მიაჩნია მთავრობას და ამ „მონას“ თუ ზოგიერთი უფლება დაუთმეს, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი საშიში გამოდგა.

სხვა და სხვა მანიფესტებისა და სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შემდეგ მინისტრებისა და აღმინისტრაციის მოქმედება ცოტაოდნადაც არის არ შეცვლილა და ისევ ძველებურადვე ხალხის დამონებაზე და საერთო თვითნებობასა და ძალმომრეობაზე იყო აშენებული. თითქო განგებ ცდილობდა მთავრობა ამით ეჩვენებინა ხალხისთვის, რომ „მონამ“ არ უნდა დაივიწყოს თავისი მდგომარეობა და თავისი თავი სახელმწიფოს ბატონად არ უნდა ჩასთვალოს, მთავრობას უნდოდა, რომ სათათბიროს მოქმედებას ხალხისთვის შეუშინებლად და უმნიშვნელოდ ჩაეგლო.

მაგრამ მთავრობას მოლოდინი არ გაუმართლდა. ჯერ ხალხმა არჩევნების დროს „კადეტების“ და სხვა მიმარცხენე დემუტატების არჩევით მთავრობის იმედებს ფრთები შეუკვეცა და სათათბიროს წევრთა მოქმედებამ კი აშკარად დაუმტკიცა ყველას, რომ ხალხის დიდი ხნის უკმაყოფილებამ პირი თუ იჩინა სადმე, მისი შეჩერება შემდეგ შეუძლებელი საქმეა. თვით „უუფლოებო“ სათათბირო ხალხის თვალში სარეფორმული ბრძოლის ასპარეზი შეიქმნა და რუსეთის ყოველი კუთხე ათასნაირი ძაფით იყო ვადაბმული სათათბიროსთან. სათათბირო და ხალხი, ხელი-ხელ ჩაკიდებული, საერთოდ მოქმედებდნენ. ეს შეერთება ხელოვნური როდი ყოფილა, იგი საერთო მიზნის, საერთო იდეალების, საერთო ბრძოლის გამოხატველი იყო. სათათბიროს წევრთა პირით ხალხი თავის მთავრობას, გაბატონებულ მთავრობას თავის სურვილებს ეუბნებოდა და ადმინისტრაციის მოხელეთა სხვა და სხვა ბოროტ მოქმედებას ამკლავებდა. სათათბიროს ამნაირ მოქმედებას მთავრობამ გულგრილად შეხედა და სათათბიროს წევრებისაგან ადმინისტრაციის მხილებას ყურადღებაც არ მიაქცია.

ხალხი „დამაჯულ რაზმების“ მოქმედებით დაღლილი და შეძრწუნებული, ერთხმად და გულწრფელად ნატრობდა შემდეგში მაინც ასეთ საშინელების მოსპობას და სათათბიროს წევრებმა ხალხის სურვილი გამოსტკვეს და გადასწყვიტეს სიკვდილით დასჯის მოსპობა.

მთავრობა აშკარად წინააღმდეგა ამ გადაწყვეტილებას და ამ თავის წინააღმდეგობის დასამტკიცებლად ზედი-ზედ რამდენიმე „დამნაშავე“ დასაჯა სიკვდილით სწორედ იმ დროს, როდესაც სათათბიროში ამნაირ დასჯის ბარბაროსობაზე ლაპარაკობდნენ.

ან როგორ დაეთანხმებოდა მთავრობა ამ საქმეში ხალხის წარმომადგენლებს, როდესაც ხალხის გულიდან აღმომხდარ „ამნისტიის“ საერთო სურვილსაც მან არავითარი ყურადღება არ მიაქცია, თუმცა მაშინ ამ ამნისტიას ელოდა, როგორც ხალხთან შერიგების ნაშანს, ყველა, ვინც გამუდმებულ შინაურ ბრძოლით დაღლილი იყო.

ის აშკარა უყურადღებობა, რომელსაც მთავრობა ხალხის წარმომადგენლების შესახებ იჩენდა, უკმაყოფილებას იწვევდა ხალხში და ამ უკმაყოფილების გამოხატველი ისევე სათათბირო შეიქმნა, სადაც თან და თან მწვაედებოდა დამოკიდებულება სამინისტროსთან. საქმე იმ ზომამდის მივიდა, რომ სათათბიროს წევრთა და მინისტრების ერთ ოთახში გაჩერება, შეხვედრა და ერთად ლაპარაკი შეუძლებელი გახდა. ხელმწიფეს ან უნდა დაეთხოვა სამინისტრო და „ხალხისთვის სანდო“ მინისტრებისთვის ჩაებარებინა სახელმწიფო, ან თვით უნდობლობის გამოთქმული სათათბირო უნდა დაეშალა და ხალხისთვის მიემართა უთანხმოების გადასაწყვეტად, — დაუყოვნებლივ ახალი არჩევნები დაენიშნა, რომ ახლად არჩეულ წარმომადგენლებს გამოთქვით ხალხის გადაჭრილი სურვილი ახლანდელ სამინისტროს შესახებ.

ხელმწიფემ სხვა გზა აირჩია. მან დაითხოვა სამინისტრო და მასთან ერთად დაითხოვა სათათბიროც, მაგრამ დაითხოვა არა მოკლე ხნით, ახალ არჩევნების მოსახდენად, არამედ უფრო ხანგრძლივად, მომავალ წლის 20 თებერვლამდის. სამინისტროს დათხოვნის მიზეზს ხელმწიფე არ ასახელებს, მაგრამ იგი ისედაც ყველასთვის თავის თავად ცხადია, — შეუძლებელი იყო სახელმწიფოს სათავეში გაჩერება ისეთ სამინისტროსი, რომლის „საქმენი საგმირონი“ მთელ ქვეყნიერობას აქცენს სათათბიროს წევრებში.

სამაგიეროდ სათათბიროს დათხოვნის მიზეზი გამოცხადებულია. სათათბიროს ბრალად ედება ის, რომ მან „საკანონმდელი საქმიანობის მაგივრად თავის დანიშნულ გზას გადაუხვია და ხელმწიფისაგან დაყენებულ ადგილობრივ მოხელეების მოღვაწეობის გამოკვლევას შეუდგა, მოისურვა ძირითად კანონების ზოგიერთ ნაკლის ჩვენება, თუმცა ამ კანონების შეცვლა მხოლოდ ხელმწიფის ნებით შეიძლება, და ისეთი უკანონო მოქმედება დაიწყო, როგორც არის, მაგ., ხალხთან რამე განცხადებით მიმართვა.“

ამნაირად აქ გამოთქმულია სამი მიზეზი, სამი ბრალდება, სათათბირომ ხელმწიფისაგან დაყენებულ მოხელეთა მოქმედებას გამოკვლევა დაუწყო. მართლაც სათათბირომ თავის ხანმოკლე არსებობის დროს იმდენი უსამართლობა, უსაზღვრო თვითნებობა და ძალმომრეობა გამოააშკარა და ისეთი ნათელი მოპვინა რუსეთის ადმინისტრაცია, რომ მთელი ქვეყანა შეძრწუნდა. ეს უსამართლობა, თვითნებობა და ძალმომრეობა წინეთაც არსებობდა, მაგრამ ამაზე ხმის ამომღები არავინ იყო და ამის გამო რუსეთი ახლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობამდის მივიდა. ხალხი შეაწუხა სახელმწიფო მოხელეთა გაბატონებამ, ხალხს უნდოდა მათს მოქმედებაში ცოტაოდენი კანონიერება მაინც შესულიყო და როდესაც, სათათბიროს მოწვევის შემდეგ, ადმინისტრაციამ ისევ ძველებურად მოქმედება დაიწყო, — ნუ თუ ხალხის წარმომადგენლები უნდა გაჩუმებულიყვნენ და სახელმწიფოს მოხელეთა უკანონო მოქმედების გამოკვლევებით აუცილებლად არ უნდა გაეხადათ უსენინდისო პირთა მაგიერ სენინდისიერ მოხელეების გამწესება? სახელმწიფოში მხოლოდ კარგი კანონები არ ქმარა, ყოველივე კანონს კარგი აღმასრულებელი

სკირია. თუ აღმსრულებლობი არ ვარცა, მაშინ საკანონდებლო მოქმედებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სათათბირო ხალხის ზ ხელმწიფის წინაშე თავის მოვალეობას ასრულებდა, რადესაც აღმინისტრაციის ყოველ ძალმომრეობას ამტკიცებდა ზ ამ გამომტყა. ნებით შესაძლოდ ხდოდა ცუდ მოხელეების გადაყენებას. ვის უნდა აესრულებინა ეს საქმე, თუ მას სათათბირო არ იკისრებდა? ხელმწიფეს რომ შესძლებოდა იგი, ზოგიერთ მოხელეს ალბად თვითონაც არ დააყენდა; პრესას ხომ პარტიული ხასიათი მიეცა და ამიტომ იგი სხვა პარტიის წევრებისათვის ხშირად სანდო არ არის. ეს საქმე მხოლოდ სათათბიროს შეეძლო და სათათბირომ კიდევ იკისრა იგი. მან ყველას ნათლად დაუმტკიცა, რომ ახლანდელი აღმინისტრაცია, ახლა მომქმედი გუბერნატორები გენერალგუბერნატორები და სხვა ადგილობრივი თვითმპყრობელები კანონს ფეხ-ქვეშ სთელავენ და ხალხს არაფრად აგდებენ, რომ მათ ხელში ხალხის უფლებებზე ლაპარაკიც კი სსასაკილოა, რომ ისინი ხალხის დამონებას და თვით 17 ოქტომბრის მანიფესტის მოსპობას ცდილობენ...

მაგრამ ამ მოხელეთა გადაყენების მაგიერად ხელმწიფე ხალხის წარმომადგენლების დამაშაულად სთვლის არსებულ ძალმომრეობის გამომქვანებას. დღეს ხსენებული მოხელეები თავ-თავიანთ ადგილებზე არიან, განუსაზღვრელ უფლებებით შემოსილი, — სათათბირო კი დათხოვნილია!..

მეორე დანაშაული სათათბიროსგან ძირითად კანონების ზოგიერთ ნაკლის აღნიშვნა არის. ამ კანონების შეცვლა ჩემ საკუთარ უფლებას შეადგენს, აცხადებს ხელმწიფე. ეს ძირითადი კანონი პასუხისმგებელი სამინისტროა. არსებულ კანონით სამინისტრო სათათბიროს და ხალხის წინაშე პასუხს არ აგებს, არ აგებს ამიტომ ხალხის წინაშე პასუხს თვით აღმასრულებელ ძალის უმაღლესი წარმომადგენელი ხელმწიფეც, და რაკი თვით სამხედრო ძალა სახელმწიფო შემოსავალი და ქონება ამ სამინისტროს ხელშია, ამიტომ თქმა არ უნდა, რომ ამით ყოველთვის შეუძლიათ გამოიყენონ ეს ძალა და ქონება არა ხალხის საკეთილდღეოდ, არამედ მის დასამონებლად. თუ ჩვენ იმ აზრს დავადექით, რომ ხალხი სახელმწიფოს ბატონი არის, მაშინ ცხადია, რომ სამინისტროს და თვით ხელმწიფის მოქმედება ისეთი უნდა იყოს, როგორც იმას ისურვებს სახელმწიფოს ბატონი — ხალხი — და სახელმწიფოს უმაღლესი მოხელეებიც ისეთი უნდა იყვნენ, როგორც ხალხს უნდა. სადაც ხალხია გაბატონებული, იქ ხალხის წარმომადგენელთაგან უნდა მოდოდ გამოცხადებული სამინისტრო უნდა გადადგეს. ინგლისში ასე გლადსტონი არა ერთხელ გადაუყენებიათ, მაგრამ ამით ქვეყანა არ დაღუპულა და რამდენიმე წლის შემდეგ ხალხს იგივე გლადსტონი ისევ დაუბრუნებია სამინისტროში. რუსეთშიაც გე უფლესა აუცილებელი იყო და სათათბირო თავის მოქმედებით აუცილებლად ხდოდა ამის მიხედვით ძირითად კანონების შეცვლასაც. მაგრამ ხელმწიფემ სხვა თვალთა შეხედა საქმეს. პასუხისმგებელ სამინისტროს შემოღება მან სამართლიანად ჩასთვალა თავის უსაზღვრო უფლებების შეზღუდვად და ხალხის გაბატონებად. იგი ხედავდა, რომ სამინისტრო და ყველა სახელმწიფო მოხელეები, თვით ჯარი და ხაზინა იმას დაემორჩილებიან, ვის წინაშეც პასუხს აგებს მართვა-გამგეობის უმაღლესი წარმომადგენელი — სამინისტრო. იგი ხედავდა, რომ პასუხისმგებელი სამინისტრო თუ შემოვიდა, ხელმწიფის თვითმპყრობელობას ბოლო შეედებოდა და ხელმწიფე იძულებული გახდებოდა აესრულებინა ხალხის ყოველი გადაწყვე-

ტილება. იგი ხედავდა ყოველივე ამას და სათათბიროს საამისო მოთხოვნას და მოქმედებას „ზუნტად“ სთვლიდა, ბოროტ-მოქმედებად აცხადებდა.

ამაირად სათათბიროს უნდოდა სახელმწიფოში ბატონობა ხალხისთვის მიეცა და ეს მას დანაშაულად ჩაეთვალა. დღეს მინისტრები და ყოველი სახელმწიფო მოხელე კანონით ხელმწიფის და მხოლოდ ხელმწიფის წინაშე არიან პასუხისმგებელი, ხალხის გაბატონების მსურველი სათათბირო კი დათხოვნილია.

მესამე დანაშაული ხალხისადმი სათათბიროს მიმართვა არის. აგარაული საკითხი ახლანდელ რევოლუციის მთავარი ძალაა და სათათბირომაც ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. მთავრობა სათათბიროში აგარაულ საკითხის შესახებ გამოთქმულ შეხედულებას არ დაეთანხმა და იმის მაგიერად, რომ მოქცეულიყო ისე, როგორც ყველა საკონსტიტუციო სახელმწიფოში მიღებულია, — დაეთხოვა სათათბირო ზ ხალხისთვის ახალ წარმომადგენლების არჩევა ეთხოვა იმ პირობით, რომ ამ ახლად არჩეულ წარმომადგენლების გადაწყვეტილება თვით ხელმწიფისთვისაც სავალდებულო ყოფილიყო, — რუსეთში სამინისტრო სხვა გზას დაადგა, — მან „მთავრობის“ განცხადების სახელით ხალხში გამოაქვეყნა თავისი პროექტი და შეხედულება აგარაულ საკითხის შესახებ, სამინისტროს ასეთი ქცევა სათათბირომ უკანონოდ ჩასთვალა, რადგანაც სათათბიროს მოწვევის შემდეგ სამინისტროს თავისი კერძო აზრი „მთავრობის“ სახელით არ უნდა გამოეცა; მთავრობას სამინისტრო და სათათბირო ერთად შეადგენენ და ამიტომ „მთავრობის“ სახელი დაერქმევა მხოლოდ სამინისტროს და სათათბიროს საერთო გადაწყვეტილებას ან სურვილს.

მაგრამ საქმე უკვე შესრულებული იყო. ხალხი კითხულობდა „მთავრობის“ განცხადებას და საჭირო იყო იმისი გამოქვეყნებაც, რომ ეს განცხადება სათათბიროს შეხედულობას არ გამოხატავდა, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხს ეგონებოდა, რომ ამ განცხადებისა ზრს სათათბიროც ემხრობა. გამოითქვა სურვილი, რომ სათათბიროს თავის მხრივ გამოეცხადებინა ხალხში თავისი შეხედულება აგარაულ საკითხის შესახებ, რომ ამაირად სწორი აზრი გავრცელებულიყო იმის შესახებ, თუ რა სურს სამინისტროს და რას ელტვიან ხალხის წარმომადგენლები. სათათბიროს, ამაირად, მხოლოდ სიმართლის აღდგენა უნდოდა და ეს მისი სურვილი გამოწვეული იყო სამინისტროს უკანონო ქცევით. — „მთავრობის“ სახელით მის კერძო შეხედულების გამოცხადებით.

ხელმწიფემ ამ საქმეს სხვა თვალთა შეხედა, — ყურადღება არ მიაქცია სამინისტროსგან ჩადენილ უკანონობას და სათათბიროს იძულებული ცდა სიმართლის აღსადგენად კი ბოროტ-მოქმედებად ჩასთვალა და დაითხოვა სათათბირო, არა ახალ სათათბიროს მოსაწვევად, არამედ ისევ თვითმპყრობელობის აღსადგენად, რადგანაც ახალ სათათბიროს მოწვევამდის, ე. ი. შვიდი თვის განმავლობაში, ახლანდელ მინისტრებს მოქმედების სრული თავისუფლება ექმნებოდა.

ამაირად ჩვენ ვხედავთ, რომ სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის მიზეზები ხალხის წარმომადგენლებს ხალხისავე თვალში დანაშაულობად არ ჩაეთვლებათ. ისინი ცდილობდნენ რუსეთში კანონიერების დამყარებას და ცდამ ჯერ-ჯერობათ უნაყოფოდ ჩაიარა, — მან გამოიწვია მხოლოდ სათათბიროს დათხოვნა და შვიდი თვის ვადით წინანდელ თვითმპყრობელო-

ბის აღდგენა. ხსენებული მიზეზები სათათბიროს ამ ვადით დასათხოვად საკმარისი არ არის, — ამ მიზეზების გამო ხელმწიფეს შეეძლო დაეთხოვა სათათბირო და ახლაც, დაუწყებლობა, ახალი არჩევნები მოეხდინა, რომ ხალხს ახალ წარმომადგენლების არჩევით თავისი აზრი გამოეთქვა იმ საკითხების შესახებ, რომლებშიაც სამინისტრო ვერ შეთანხმებულა სათათბიროსთან; ნამდვილად კი სათათბირო შეიძინა თვით დათხოვნილია. ამიტომ ყველასთვის აშკარა არის, რომ ამ დათხოვნას სხვა მიზეზები აქვს. „მთავრობამ“ დაინახა, რომ ხალხი საკმარისად მომწიფებულია იმისთვის, რომ თავისი უფლებები ვინგინდარაებს არ გაათელეინოს და საკმარისი სიფხიზლითა და ენერგიით ეკიდება ახალ საქმეს; რომ სათათბირომ თან და თან მეტი ზნეობრივი გავლენა მოიპოვა ხალხში და საზღვარ გარედაც; რომ ეს ზნეობრივი ძალა ბოლოს დიპლომატიკაში და თვით სამინისტროს ფიზიკურ ძალას და რომ სათათბირო სისხლ-დაუღვრელად მიადგედა იმას, რისი მიღწევაც უკიდურეს შემარცხენე პარტიებს შეიარაღებულ აჯანყებით ჰგონიათ შესაძლებლად. სისხლის ღვრიან და ბარკადებთან. სათათბიროს ზნეობრივ გავლენის მოსახსობად უზნეობაში აღზრდილია სამინისტრომ და ძველ წყობილებებს მომხრეებს თანასწორი ზნეობრივი ძალა ვერ გამოიჩინეს, რადგანც მათ ეს ზნეობრივი ავტორიტეტი არა აქვთ, — ძალმომრეობაზე აღზრდილთათვის ზნეობრივი ავტორიტეტი უცნობი აირალი იყო და ეს იარაღი მათ თავისიანებში ვერ ნახეს და ვერც გამოიყენეს. ხალხის „დამორჩილება“ კანონიერის გზით მათ არ შეეძლოთ და ყოველი უკანონობა კი მაშინვე თავს იჩენდა. სათათბირო საშიში მოწმე და კიდევ უფრო უსიამოვნო მსაჯული იყო, უსიამოვნო იმიტომ, რომ მას ყურს უღებდა და ზურგს უმაგრებდა ხალხი. ამ მოწმისა და მსაჯულის ჩამოშორება იყო საჭირო და სახელმწიფოში გაბატონებულმა წრეებმა იგი ჩამოიშორეს...

მაგრამ სათათბირო მხოლოდ გამოხატავდა ხალხის სურვილებს და შეხედულებას. სათათბიროს ტოხოვნიტ ეს სურვილები და ეს შეხედულება არ მოისპობა, მხოლოდ მათ გამოასათქმელად კანონიერი გზა დაიხშო. ექვი არ უნდა იმას, რომ მალე პრესასაც ბორკილებს აასხამენ და ეცდებიან ხალხი უწინდებურად დაამუჯჯონ იმ იმედით, რომ დამუჯჯებული ხალხი სადა მოქმედებას ვერ მოახერხებსო. ამ შეიდი თვის განმავლობაში უცდებიან აღმოფხვრან ხალხის გულიდან თავისუფლების უბრალო სურვილიც და თებერვალში მუხლ-მოდრეკილი და მორჩილი დეპუტატები შეეკონ ახალ სათათბიროში.

მაგრამ რაც შესაძლებელი იყო გუშინ, ის შეუძლებელია დღეს. ზნეობრივად გამარცხებულმა წყობილებამ შეიძლება კიდევ კოტა ხანს იბოგინოს, მას ხანგრძლივ სიცოცხლისათვის საჭირო ძალა აღარ აქვს, და როგორც წინეთ არა ერთხელ მოტყვილებულან გაბატონებული წრეები და მორჩილ ხალხის მაგიერად შეგნებულ წინააღმდეგობას შემფეთებთან, ისე მოსტყუებდებიან შემდეგშიაც და იძულებული ვახდებიან თვითონ მოიყარონ მუხლი ხალხის საერთო წინააღმდეგობის წინაშე..

ხალხის გამარჯვება მხოლოდ იმაზედ არის დამოკიდებული, თუ რაოდენ ერთსულობას გამოიჩინენ საზოგადოების ყველა კლასები ყოველივე შინაური ბძალა დროებით უნდა ვანზე დაავდოს ხალხმა, თუ უნდა სახელმწიფოში ბატონობა მიიღოს და საბოლოოდ მოსპოს ის წყობილება, რომელსაც სურს, რომ ხალხი სათათბიროშიაც მისი მონაშრომელი იყოს.

ურაგული.

ჯარი და რეპრესია.

რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობისთვის განუზომელი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ რა გზას და ადგება რუსეთის ჯარი. მოეზრობა ის თავისუფლებისთვის მებრძოლ ხალხს, თუ უწინდებურად დაიკავს ძველ წყობილებას და თავის ძლიერებით ხელს შეუწყობს ხალხის დამონებას და იმ მოძრაობის მასპობას, რომელსაც მიზნად აქვს ხალხის დამღუბველ და ხალხზე გაბატონებულ სახელმწიფო ძალების ჩამოშორება. ჯარს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა დღეს, როდესაც სათათბიროს დათხოვნის შემდეგ ძველ წყობილების მომხრე წრეები წელში გაიმართებიან და გააორკეცებენ თავიანთ ძალმომრეობას და ხალხის დაჩაგვრას, რომელსაც თვით სათათბიროს არსებობის დროსაც არ ერიდებოდნენ. წინეთ თუ მხოლოდ მოძრაობის ჩაქრობა ჰქონდათ მიზნად, ახლა „დამნაშავეთა დასჯასაც“ მოისურვებენ, და როგორ „სჯის“ მთავრობა თავის „მოწინააღმდეგეთ, ეს სხვა დასხვა „დამსჯელ რაზმების“ მოქმედებამ გვიჩვენა. ექვს გარეშეა, რომ მთავრობა სათათბიროს ჩამოშორების შემდეგ ხალხის საუკეთესო შვილებს ციხეებში ჩააღობს და სარჩობელაზე აიყვანს. მას საამისოდ დრო საკმარისად აქვს, — შეიძინა თვის განმავლობაში ყველა „მოწინააღმდეგე“ ძალები უნდა მოსპონ, ხალხს „უჩრბობა“ დაავიწყონ და შიშის ზარი დასცენ ყველას, ვინც დღევანდლამდის ხვას იმალედა იმისთვის, რომ არსებული უსამართლობა გაეკიცხა და სახელმწიფოში ხალხის გაბატონება მოეთხოვა.

ამ მიზნის მისაღწევად მთავრობას სხვა და სხვა საშუალება აქვს, მაგრამ ყოველ მის განკარგულებას ასრულებს ან უკეთ რომ ვთქვათ, აღმასრულებლები სჭირია, და ეს აღმასრულებლები თუ არ თანაუგრძნობენ მთავრობას, მაშინ მთავრობის ყოველ განკარგულებასაც ყოველივე ძალა და მნიშვნელობა ესპობა.

ექვი არ უნდა იმას, რომ გააფთრებული მთავრობა პირველად პრესას სწვდება და მის ჩაჩუმებას მოინდომებს. სათათბიროს მოქმედების დროს თუ არ ერიდებოდნენ გაზეთების და სტამბების დაკეტვას, თანამშრომელ-რედაქტორების დაპატიმრებას და თვით დაბეჭდილ ნომრების „დაკეტვას“, ახლა რაზე სახით წინასწარ ცენზურას განახლებენ და ხალხის თავისუფალ პრესას სრულებით მოსპობენ. ცენზორების როლის აღმასრულებელი ბევრი გამოჩნდება, გამოჩნდებიან ისეთები, რომლებიც დიდის სიამოვნებით გაუწევენ ამ სამსახურს მთავრობას, რადგანაც ამაში ჯამაგირს მიიღებენ, და ამას გარდა თავისუფალი პრესა ბევრს უსიამოვნო ჩხირად მიაჩნია და ეჯავრება. პრესის გასაჩუმებლად არც ისე ბევრი აღმასრულებელია საჭირო, რადგანაც თვით სტამბების დასაკეტად რამოდენიმე ათი კაციც საკმარისია.

მოსპობენ კრებების თავისუფლებას, რომელიც დღემდისაც სავსებით მოპოვებული არა ჰქონია ხალხს. პეტერბურგში უკვე გამოაცხადეს, რომ აკრძალულია ყოველივე შეკრება, დროებით ქუჩებში ვავლა და სიმღერები. შეკრების აკრძალვით უნდათ დაქსაქსონ ხალხის ძალები, რადგანაც მხოლოდ შეკრებილობაში ეძლევა ადამიანს ის აღფრთოვანება, რომელიც უბრალო მომაცვდავსაც თავისუფლებისთვის მებრძოლად ხდის და სიკვდილს ავიწყებინებს. კრებების თავისუფლების მოსახსობად მთავრობას მეტი აღმასრულებელი სჭირია და მხოლოდ პოლიციის ძალა არ კმარა. როდესაც შეკრებილი ხალხი დიდია, ცოტაოდნად შეი-

არაღებული პოლიცია ჯარს იწვევს და მის დახმარებით ჰვანტავს შეკრებილობას. აქ, ამ გაფიცვის დროს, ჯარი ხშირად სისასტიკეს იჩენს და დაუნდობლად ექცევა შეკრებილთ. არავის არ დაეიწყებია მინერის ამბავი, როდესაც ჯარმა პეტერბურგში მშვიდობიანად მიწავალი ხალხი დახოცა. მას შემდეგ ჯარებისაგან ხალხის უდანაშაულო სისხლის დაღვრა ხომ რუსეთის სხვა და სხვა კუთხეში არ შეწყვეტილა და შიო ჩიტაძის მოკვლაც ხომ ისევ გამხეცებულ ჯარის კაცების საქმეა.

ჯარის კაცები გაფიცების დროსაც საჭირონი არიან მთავრობისათვის, გაფიცულთა მაგიერად საქმეში ჩასაყენებლად და გაფიცულთა დასასჯელად ან ქუჩებში სადარაჯოდ და გამეღვლათა ან სახლების გასაჩხრკად. ეს საქმე განსაკუთრებით ულავს და აპრაზებს ჯარის კაცებს. მართლაც, შეკრებილ ხალხის გაფანტვის დროს ჯარის კაცი „მოწინააღმდეგეს“, „მტერს“ თვლით უქქერის და, ეს „მტერი“ თუ შეიარაღებულია, ადვილად მიდის მხედ საიერიშოდ. აქ ფიქრის დრო არ არის. შეიძლება სადმე „რევოლუციონერებმა“ მოკლეს ჯარის კაცი ან კახაკი, — „მოკლულის სისხლის აღება“ არის საქმე. — ამას ხომ უფროსებიც ამბობენ... და ეს ხალხი რომ „ხელმწიფეს ღალატობს“ და „უხელმწიფოდ ხომ ქვეყანა დაიქცევაო“. ეს და ასეთი ფიქრები ელვასავით გაურბის ჯარის კაცს თავში, როდესაც იგი შეკრებილ ხალხს ჰვანტავს.

სულ სხვაა გაფიცების დროს. აქ მოწინააღმდეგე არა სჩანს, ყველგან მშვიდობიანობა და სიწყნარება, მხოლოდ ჯარის კაცებს მოსვენება არა აქვთ. ქალაქის ერთ კუთხიდან მეორე კუთხეში გზავნიან, ქალაქიდან სოფელში გადაყავთ, საყარაულოდ აყენებენ და ამ უსაქმურ საქმიანობის დროს ჯარის კაცი ძალა-უნებურად უკვირდება თავის მდგომარეობას და აშკარად ხედავს, რომ „მშვიდობიან ხალხის“ საწინააღმდეგოდ არის გამოყვანილი. აქ, ამ ყარაულობიდან დაბრუნებული ჯარისკაცები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებას და ამ გაზიარების დროს სუსტდება მათი ერთგულება და უფროსებისადმი მონური მორჩილება. აქ უფროსებისა და მთავრობის ბრძანებითა აღსასრულებლად მისი მხრით საქმეობა ამ ბრძანებათა მიზნის შეგნება, საქმეობა შეგნებული მომხრეობა, რადგანაც უამისოდ ძნელია მუდამ უიარაღო და უხილავ მტრის საწინააღმდეგოდ დილიდან საღამომდის ყარაულობა, ყარაულობა და ყარაულობა.

სწორედ საამისო „შეგნების“ შეტანას ცდილობს ჯარებში ახლანდელი მთავრობა. რას მიქვია ჯარში პოლიტიკის შეუტანლობაო, გაიძახიან რუსეთში გაბატონებული ბიუროკრატები, — ჯარს ფიცი მიუღია, ჯარმა უნდა დაიცვას არსებული წყობილება და მეფის განუსაზღვრელი უფლება ხალხის რაღაც წარმომადგენლების უდიერობისაგან. ჯარმა უნდა აღმოეფხვრას „კრამოლნიკები“, ჯარმა უნდა მოსპოს „ბუნტობაო“ და საამისო პროპაგანდასაც ეწვეიან ჯარის კაცებში. მთავრობა და მთავრობის მომხრეები აუარებელ პროკლამაციებს ჰბეჭდავენ და არიგებენ ჯარებში, — ამ პროკლამაციებით ამცირებენ და სახელს უტეხავენ ხალხის წარმომადგენლობას და ხალხისაგან თავისუფლებისადმი მისწრაფებას „ბუნტს“ ეძახიან. თვით ნახევრად ოფიციალური გაზეთებიც კი აშკარად აღგებიან ასეთ გზას და ჯარის კაცებს ამზადებენ... რისთვის?

სათათბირო დათხოვნილია. მთავრობა ხალხს „დასჯის“. ეს „დასჯა“ სასტიკი იქმნება, დამსჯელებად ჯარებს აგზავნიან. ჯარის კაცებმა უნდა შეუწყონ ხელი ხალხის დაჩაგრვას.

სათათბირო დათხოვნილია. ხალხი ეცდება მის დაბრუნებას. ამ ცდას დიდი ერთსულობა და გაბედულობა სჭირია. მთავრობა ამ ერთსულობის მოსპობას ეცდება სამხედრო ძალით. პირის პირ შეხედება ერთმანეთს ჯარი და ხალხი.

საითყენ გადხრება სასწორი? აშკარა ბრძოლაში, როდესაც ჯარის კაცი თავის წინ „მოწინააღმდეგეს“ დაინახავს. იგი მთავრობის მხარეზე იქმნება და ასეთ ბრძოლაში ხალხს გამარჯვება არ შეუძლია.

ერთად ერთი საშუალება ჯარის „დასამარცხებლად“ მასში ზნეობრივ გაგლეჩის მოპოვებაა, ჯარის კაცებში პროპაგანდის გაწევა, რასაც ახლა ასეთის მხნეობით დაადგა მთავრობა. ვინც მოახერხებს ჯარების გულის მოგებას, იმის ხელშია გამარჯვებაც. ქალაქის პროლეტარიატს რევოლუციაში გვერდით ამოუღდა გლეხობა, რომელმაც მალე ამ რევოლუციაში უმთავრესი მნიშვნელობა მიიღო; ახლა ამ ორ მთავარ მებრძოლ ძალას უნდა მიემხროს მესამე ძალა, რომელიც იმავე გლეხობის შვილია. ჯარი. ხალხის ყველა ნაწილის, ხალხის ყველა კლასის, სხვა და სხვა ჯგუფისა და პარტიის შეერთებულ მოქმედების წინ მუხლს მოიყრის ჯარის კაციც, რადგანაც მისთვის მაშინ აშკარა იქნება, რომ მთელი რუსეთი ორ ნაწილად გაყოფილია, ერთის მხრივ მთელი ხალხი, თვით ამ ჯარის კაცების ნათესავობაც, და მეორეს მხრივ კი მხოლოდ ხალხის მცირეოდენი ნაწილი, ეპოლეთ-ჯინჯილებით მოკაზმული ამ ჯარის კაცების უფროს ბი, რომლებიც ჯარის კაცებს ისედაც ეჯავრებოდნენ და ეჯავრებდნენ. ხალხის გაერთიანებულ მოქმედებას უძლეველი ზნეობრივი ძალა აქვს, ხალხის ერთსულობა ჯარის კაცებსაც თოფს დააყრვივებს.

მხოლოდ თუ ჯარის კაცებმა დაინახეს, რომ ხალხი რამოდენიმე ნაწილად გაყოფილია, ერთი ალთას იძახის, ზოგი ბალთას, და ყველა ერთმანეთის დაღუპვას ლამობს, მაშინ ისინი არც ერთ პარტიის მხარეზე არ დადგებიან, რადგანაც მათ მოძრაობის ზნეობრივი ძალა ვერ მიიზიდავს.

მხოლოდ ადამიანის გული ასეთია, ჯარის კაცების ხალხის მხარეზე გადასვლა ჯერ უნდა მოხდეს და მოხდება რუსეთში, შუაგულ რუსეთში, სადაც ხალხი და ჯარი იმავე ერის შვილები არიან, და მხოლოდ ამის შემდეგ გადმოვა განაპირა ადგილებში... პროვოკატორობას ჩაიდენს ის ადამიანი, რომელიც ხალხს დაარწმუნებს, ჩვენში, განაპირა ქვეყნებში, ჯარი ხალხს ემხრობაო და რომელიც ამის იმედით ფეხზე წამოაყენებს ხალხს, სანამ შუა გულ რუსეთში, მოსკოვსა და პეტერბურგში, ჯარი აშკარად არ გადასულა ხალხისკენ და სანამ მას იქ თავისი იარაღი ხალხის საერთო საქმის გასამარჯვებლად არ მოუხმარია.

ეს უნდა ახსოვდეს ყველა იმათ, ვინც გულგრილად არ უყურებენ ჩვენი ხალხის კეთილდღეობას და ვისაც დეკემბერიანერის საშინელი ამბების განმეორება არა სურთ.

ხალხის შვილთა სიცოცხლის დაზოგვა და გამოზოგვა საქმეობა და ყოველი წინდაუხედავი ნაბიჯი გამოიწვევს ხალხის საუკეთესო შვილთა უსარგებლოდ დაღუპვას. რევოლუციაში, როგორც ომის დროს, მტერს მხოლოდ იქ და მხოლოდ მაშინ უნდა შეებას ადამიანი, როდესაც სრული დარწმუნებულია გამარჯვებაში, თორემ თავიანთების დახოცვით საქმის დაღუპვა ხომ რუსმა გენერლებმაც კარგად მოახერხეს მანჯურიაში.

სისხლი ტყუილად და უსარგებლოდ რომ არ დაიდვაროს, უნდა ვუცადოთ მოსკოვ-პეტერბურგსა და შუა გულ რუსეთსაც, რომ მათ არ ჩამოვრჩეთ და ჩვენი გრძნობის აყოლით მათი

გასწრება არ მოვისურვოთ და ამ „გასწრების“ სურვილით ჩვენი და თვით რუსეთის საერთო საქმე განსაცდელში არ ჩავადლოთ. რევოლუცია ხომ დიდი არ არის, რომ „გასწრებაზე“ იყოს საქმე. ყოველ შემთხვევისათვის კი მზად უნდა ვიყოთ, რომ შეერთებულის ძალით იმ გზას დავადგეთ, რომელსაც გვიჩვენებს გარემოება და შუაგულ რუსეთის ან მოსკოვ-პეტერბურგის მცხოვრებთა ქცევა. გ. ს.

სხვათა შორის

ჩვენი ერის ყოფა-ცხოვრება რომ განსაკუთრებულ მდგომარეობაშია, ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, და რომ აგრეთვე განსაკუთრებულ შრომა-მოქმედებას მოითხოვს ყველა მისი წარმატების მოსურნისაგან, ვგონებთ, არც ეს უნდა იყოს ვისთვისმე საიდუმლო და გაუგებარი. მაგრამ რას ვხედავთ? იმას, რომ უცხო ყოფა-ცხოვრების აღგენებას ვერ დავხწვევართ, თითქოს საკუთარი რამ შემოქმედებითი საქმიანობა არ გვესაქირობოდეს, თითქოს ყველაფერი თავის თავად გვიკეთდებოდეს და ჩვენგან არავითარ საქმეზე ზრუნვას არ საჭიროებდეს.

ამ უკანასკნელ ასი წლის „მყუდრო“ და „მშვიდობიანმა“ ცხოვრებამ ისე გასთქვიფა ქართველის ბუნება, ისე გააქარწყლა მისი აზრისა და მისწრაფების თავისებურობა, ისე გავაუბიროვნა, ისე მაგრა შეგვათვისა დაუღვევრობა და ყურმიღდებულობა, რომ ამჟამადმა ყოველ მხრივმა გათახსირებამ და განადგურებამაც ჰლამის ვერ გამოგვაფხიზლოს, გონს ვერ ჩავვაგდოს. თითქოს ვერ შევეგინა, რომ თუ ოდესმე რამ გვიკეთებია, მით უფრო ახლა გვმართებს ბეჯითი, მოფიქრებული და მასთან მარდი საქმიანობა. რაც ოდესმე ჩვენი ერის გასაუმჯობესებლად ორიოდ რამ საქმე დავგვიარსებია, იმათს წარმოებაშიაც შაბლონებს, უცხო ნიმუშებს ვერ ავცდენივართ. ამიტომაც არის, რომ ყველა ჩვენი საზოგადო დაწესებულება უფერულად, ზანტად მიჩანჩალებს, და მის ქირისუფალთ ისა აქვთ ბოდიშად, რომ გარემოება ხელს უშლით, და ის კი ავიწყლებათ, რომ საქმის უნაყოფიერობის უმთავრესი მიზეზი ყოვლის უმეტესად მათი უმოქმედობა არის. ასე ვეპყრობით უკვე დაარსებულ საქმეებს და უფრო კიდევ უწყურადღებოდ და გულაკრუებით იმისთანათ, რომელთა დაარსება გვესაქირობება, ან დასაწყისი კიდევ აქვთ შიკვეშილი, მაგრამ უწყესრიგოდ სწარმოებენ და მოწყურებება მათთვის აუცილებელი.

ბეჭდვითი სიტყვის მოვალეობაა ამ საგანს მუდამ ჯეროვან ყურადღებას აპყრობდეს, და არა თუ შემთხვევითი რამ საუბარი არ უნდა უარ-ჰყოს ამისთანა საგანზე. არამედ ცალკე განყოფილებაც უნდა იქონიოს შინაურ ცხოვრების გასაუმჯობესებელ საშუალებებზე სასაუბროდ; უნდა კვალში უდგეს ჩვენ არსებულ დაწესებულებათა, კვალ და კვალ მისდევდეს მათს ავსა და კარგს, გზას უჩვენებდეს მათი უკეთ მოწყობისათვის, ახლად დასაარსებელსა და მისთვის საჭირო საღსარზე მიუთითებდეს, და ასე, ამგვარად საზოგადოებას საფიქრებელ-სამოქმედო მასალას აძლევდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა ამჟამად ისეა გართული გარეშე საქმეებით, კერძო პირთა და პარტიათა კინკლაობით, ახალ აზრების შესახებ გრძელ-გრძელ დაუსრულებელ ფილოსოფოსობით, რომ თავის ფურცლებზე არა თუ საკუთარ ინიცია-

ტივის არა ზნარჯავს ამისთანა საგნისთვის, არამედ შემთხვევით მიტანილ საუბარსაც მცირედენ ადგილს ვერ უთმობს.*) რამდენი საზოგადო დაწესებულება გვაქვს დაარსებული ამიერ თუ იმიერ საქართველოში, მაგრამ იგინი ისე სწარმოებენ, თითქოს კერძო დაწესებულებანი იყვენ და არავის იმათთან ხელი არა ჰქონდეს.

ამ უკანასკნელ ხანში ერთი ახალი საქმეც გავგიჩნდა და იგი, როგორც კერძო საქმე, ისე სწარმოებს, თუმცა ჩვენი აზრით საზოგადო და მასთან დიდ მნიშვნელოვანიცა; ამიტომ არ შეიძლება საზოგადოების ყურადღება არ მიიპყროს და მის წარმოებაში იგიც არ ჩაერიოს. ეს საქმე არის ზოგიერთ ქართველ ქველმოქმედისგან უმაღლეს სწავლის მოსურნე ქართველთა დასახმარებლად ფულის გამოღება,—სტიპენდიები.

ეს საქმე მთლად მოუწყობელია, რადაც შემთხვევითი ხასიათი აქვს, თუმცა კარგა ხანიც არის თურმე, რაც არსებობს, და დიდი ფულიც იხარჯება ამაზე. როგორც ვაგვიგონია, ამ საქმეს მოქირისუფლედ ოთხი დიდი და საშუალო ქველმოქმედი ჰყავს, და სხვებიც არიან თუ არა, არ ვიცი, რადგან ყველა იგინი კერძოდ, თავიანთ-თავად აწარმოებენ საქმეს. ამ ქველ-მოქმედებს (ერთ წოდებრივს გარდა) თითო პირი ჰყავთ არჩეული და მათი საშუალებით განაგებენ საქმეს,—რალა თქმა უნდა, უფგემოდ და იმ გამგეთა საკუთარ შეხედულების მიხედვით. ამრიგად წარმოებაში, ყველა გვაჩი საქმის დამახინჯებელ ჩემ-შენობასაც რომ არ მივცეთ ადგილი, შეცდომა, უანგარიშობა, უსისტემობა აუცილებელია; ყველა „სხვათა შორის“ და არა საპასუხისმგებლო საქმეს ესა სჭირს ჩვეულებად. ბევრჯელ იმისთანას მიეცემა შემწეობა, რომ იმაზე დახარჯული ფული სარგებლობას არავის მოუტანს (შეიძლება ვნებაც მოუტანოს), ბევრჯელ კიდევ მართლა ღირსეული დარჩება ამ ქველ მოქმედების ვარჯელ.

ქართველებს იმდენი სადა გვაქვს, რომ უანგარიშოდ გავწიოთ ქველმოქმედება, და ანგარიშიანობა კი მოითხოვს, მარტო იმას მიეცეს სტიპენდია, ვინც მართლა კეთილად მოიხმარს ამ დახმარებას, და მასთან ისე მიეცეს, რომ სწავლის დასრულების შემდეგ მასზე დახარჯული ფული უკანვე დაუბრუნოს, შეძლების დაგვარად, საზოგადოებას ისევ მისთანავე შეუძლებლის აღსაზრდელად. საქმის ასე მოწყობა სასარგებლოც არის და სამართლიანიც, და რაკი ასე რთულდება იგი, კერძო პირი ვერასგზით ვერ შესძლებს იმის გაძლოლას. ამისთანა საქმეში კერძო პირის გამგეობამ შეიძლება ცალმხრივობაც დაჰხადოს, შეიძლება იმ დარგის ნასწავლები გავგიმრავლოს, რა დარგიც თვითონ ექაშნიკება, სხვა დარგის სწავლა კი დააბრკოლოს. ჩვენ კი ყველა დარგში ნასწავლი გვესაქირობება: მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ხელოსნობაში, მეურნეობაში და სხვა. საქმის ასე დაყენება კი მართა განსაკუთრებულ დაწესებულებას შეუძლიან და ამისთან — წინათვე შემუშავებული გეგმით.

ამისთანა ქველმოქმედება საქმის განსაზოგადოებას მოითხოვს. რა წამსაც ამისთვის დანიშნული ფული ქველმოქმედის ხელიდან გამოდის, იმ წამიდან იგი საზოგადოების კუთვნილებად ხდება, რადგან მისი დანიშნულება—საზოგადოებისათვის სასარგებლო წვერთა აღზრდა-განვითარებაა. მაშ იმ ფულის მართა-გამგეობაც საზოგადოებას უნდა ეკუთვნოდეს

*) ამ წერილის საგნის შესახებ წერალი შარშან 10 ღვინობისთვის ერთ ქართულ გაზეთს ვაგვუხანენ დასაბუქლად, მაგრამ დაბუქლვას არ ელხოსა, თუმცა არც უარო მიმიღია დაბუქლვისა.

და კერძო პირის გამგეობას აქ ადგილი არა აქვს. საქმის ასე მოწყობას ერთი პრაქტიკული მხარეც აქვს: ახალ ქველმოქმედებს გამოიწვევს ასპარეზზე, რაკი გააგებენ, საღ უნდა მიიპართონ თავიანთ წვლილი, — თუნდაც მცირედი, — ფიქრი და ძებნა აღარ დასჭირდებათ. მაშინ მოსალოდნელია თან და თან საქმე გაფართოვდეს: ზღვაც ხომ წვეთებიდგან არის შემდგარი.

რადგან დარწმუნებული ვართ, თვითონ ქველმოქმედთაც უხერხულად მიიჩნიათ სტიპენდიების საქმის კერძო პირის ხელით წარმოება და გვეგონია, ასე მხოლოდ დროებით აწარმოებენ, ამიტომ აქვე გვგვამს დავურთავთ, თუ რა ნაირად უნდა მიიღოს საზოგადოებამ იმათთან ერთად მონაწილეობა ამ საქმის წარმოებაში. ამ გვეგვამს მუხლებად დავყოფთ, რომ მისი უსწორება-დამატებით ამ საგანზე წესდების შედგენა გავუადვილოთ, როდესაც ამას შეუდგებიან. საქირო კია, ჩქარა შეუდგენ ამ საქმეს, ჯერ იმით, რომ ყველა ჩვენი საქმე საზღვარ არის, და მეორეც იმით, რომ მათმა ხარჯმა მათს კეთილ სურვილს საფასებით მიადღწიოს, ნახუცრიშვილისთანა ნიჭიერი კაცები უპატრონოდ აღარ გვევაცემოდენ და თავიანთი აღმოჩენანი საფლავში არ ჩაქონდეთ. *)

უშთავრესი მუხლები, რომელთა საფუძველზე უნდა დაყარდეს სტიპენდიების საქმე:

1, სტიპენდიების საქმის საწარმოებლად, საკუთარ საზოგადოების დაარსებამდე, არსდება „ბიურო“ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობასთან და მის გასაძლიერებლად იმ გამგეობის ერთი წევრი ინიშნება.

2, ვინც სასტიპენდიოდ ფულის გაღებას მოისურვებს, ბიუროს გამგეს მიმართავს და იმის ორდერით გამგეობის ხაზინადარს აბარებს ფულს კვიტანციის ჩამორთმევით.

3, სტიპენდიების შესაწირავად მიიღება ყველა ჯამი, ვინც რამდენს გაიმეტებს.

შენაშენა: სტიპენდიების თანხის გასაძლიერებლად კრუეკები იგზავნება საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში დასაჩივრებლად; ამივე მიზნით იმართება სხვა და სხვა გასართობი, კონცერტები და სხვ.

4, ის ქველმოქმედი, ვისაც ამჟამად სტიპენდიანტები ჰყავს, მათთვის დანიშნულ ფულს, ერთად თუ ნაწილ-ნაწილ, ზემო აღნიშნულ ბიუროს გადასცემს საქირო ცნობის დართვით: ვის, საღ და რამდენი უნდა ეძლეოდეს.

შენაშენა: პირველ გადაცემულ სტიპენდიანტებს „ბიურო“ უძღვება ქველმოქმედთა ჩვენებისამებრ, ხოლო ახლების მიღება და მათთვის ფულის დანიშნვა ბიუროსთან დაწესებულ კრებულის უფლებას შეადგენს; ყოველი სტიპენდია იმ ქველმოქმედის სახელობისაა, ვისიც ფული იხარჯება იმაზე.

5) სტიპენდიანტების მიღებას და მათთვის ფულის დანიშვნას ბიუროსთან დაწესებული კრებული განაგებს. ამ კრებულს

*) ნახუცრიშვილის გარდა აქ გავიხსენათ, რაც ნიჭიერი კაცები ჩვენ შეგვწვედრია და უპატრონობით თვითონ ისინიც და იმათი აღმოსაყენებლად პარკავია ქართველებს. შათირიშვილი და იმის გაუმჯობესებელი სახერხი მანჭანა; მომგონი მანჭანისა, რომელსაც წყალი ყველა სიმაღლეზე უნდა აეყვანა; მომგონი იარაღისა, რომელსაც დეკემა ყველა მანძილზე უნდა გადაეცა, — გადასცემ სადგურების უსაშუალოდ; მომგონი ულურსმნა ცხენის ნაღისა. შესანიშნავი ტენორი ბერიძე, რომელსაც უსახარობის გამო კონსერვატორიის მაგისტრ კანკლარიებში ამოიბრთა სული და დარდით საგვირგოში მოკვდა უღროოდ. სხვებისაც, უფროდია, ბერიძე სხვა ეკოდირებათ.

შეადგენენ: ბიუროს გამგე და თითო წევრი, წარმოგზავნილი ყველა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობისაგან, — წერა-კითხვისა, დრამატიულისა, ფილარმონიულისა, ქართულ გიმნაზიის კომიტეტისა და მასწავლებელთა კორპორაციისაგან, წინამძღვრთან კარის სკოლის მზრუნველისაგან, ქალთა ამხანაგობის სკოლისგან, ყველა ქართულ რედაქციებისა და წიგნების გამომცემელ საზოგადოებათაგან და ყველა იმ ქველმოქმედთაგან (ან იმათ რწმუნებულთაგან), რომელნიც ამ საქმეზე წელიწადში სამოც თუმანზე მეტს ხარჯავენ. ამ კრებულს სტიპენდიების დანიშვნაზე სჯა ბასის დროს შეუძლია სხვა საქირო პირნიც მიიწვიოს.

6. სტიპენდიების დანიშვნის დროს უპირატესობა უნდა მიეცეთ საზღვარ გარედ უმაღლეს და სპეციალ სასწავლებლებში მოსწავლეთ.

7. ყველა სტიპენდიანტს ამ თავითვე პირობა უნდა ჩამოერთვას, რომ სწავლის შესრულებისას, შეძლების დაგვარად მასზე დახარჯულ ფულს უთუოდ დაუბრუნებს „ბიუროს“.

შენაშენა: ეს ფული შეიძლება ეპატოს სტიპენდიანტს რაიმე საზოგადო ანუ სამეცნიერო მოღვაწეობისთვის (ღვაწილი, თხზულება), თუ რასაკვირველია, ამისთანავე ამის პატივება ითხოვა.

8, სტიპენდია ეძლევა, როგორც ვაჭებს, ისე ქალებსაც, მხოლოდ შეუძლებელ ოჯახის შვილებს, და უპირატესად იმათ, ვინც უკვე რაიმე უმაღლეს ანუ სპეციალ სასწავლებელში არიან და მისთანავე საიმედო მოსწავლეებად არიან ცნობილნი. სასწავლებლიდან გამოსულს ანუ დათხოვილს სტიპენდია ესპობა, მხოლოდ სამშობლოში დასაბრუნებელი გზის ხარჯი ეძლევა. სტიპენდია იმასაც შეიძლება მიეცეს, ვინც საზღვარ გარედ უმაღლეს ანუ სპეციალ სასწავლებელში შესასვლელად ემზადება; ამისთანას ერთი წლის შემდეგ ესპობა სტიპენდია, თუ ამ ვადის განმავლობაში არ შევიდა სასწავლებელში.

შენაშენა: სტიპენდიის დანიშვნაში უპირატესობა საზოგადო მოღვაწეთა შვილებს ეძლევა.

9, სტიპენდიის თანხიდან შემწეობა ეძლევა იმათაც, ვინც რაიმე სასარგებლო კვლევა-აღმოჩენისთვის დახმარებას საქიროებს. ასე გაცემული ფულიც შემდეგში, შეძლების დაგვარად, უნდა დაუბრუნდეს თანხას.

10, სტიპენდიანტი მოვალეა ყოველ წელიწადს „ბიუროს“ საბუთი წარუდგინოს, რომ იგი სასწავლებელშია. ამას გარდა ბიურომ იმ ალაგებში, სადაც სტიპენდიანტები ჰყავს, მზრუნველი უნდა იყოლოს თავის სტიპენდიანტების ყურის სადგებლად ჭ იმათი გარემოების შესატყობინებლად. თუ ადგილობრივ ასეთი პირები არ მოიპოვებიან, მაშინ იმათ დასახელებად წელიწადში ერთხელ მაინც თავის მხრივ სანდო პირი უნდა ვაგზავნოს ხოლმე.

აქ უშთავრესი მოვიხსენიეთ და მხოლოდ იმ აზრით, რომ მასალა მიგვეცა ამ საქირო საქმის ჯეროვნად მოწყობის გასაადვილებლად; ხოლო მათს რიგზე მოყვანას, შეცვლა-შეცვებას იმ კრებულს მივიანდობთ, რომელსაც, იმედი გვაქვს, ქველმოქმედნი და გულშემოტიკიარნი მალე მოიწვევენ ამ დიდ და ჩვენთვის მეტად საქირო საქმის მოსაწყობად და მოსაწყობიერებლად.

საკ აგაფიშვილი

პატარა ფიქრები

სახელმწიფო სიახლოვით დაითხოვეს. შიშველ რუსეთიდან ამბე-
ბა მიდის, ხალხი გულგრილად დაუხვდა ამ მოვლენას. შირად
მე ამ წარსის ვიუვი და ესდრე იმ წარსის ვრ, რომ სიახლო-
ვის დათხოვა თანვე გაჭკაწრავს ხალხის გულს და არ მიხედუ-
ბის, რასაც წოკიერთი ზოლიტიკოსები გვიბრძობდნენ. მკრამ
წინდაწინვე ამის დანამდვილებით გამოცნობა, რასაკერძოდაც, არ
შეიძლება. შესაძლებელია ისიც, რომ ამ მოკლე ხანში რუსეთში ისე-
თი ქარიშხალი ატყდეს და ისეთმა გროგადმა გადაკვიაროს თავზე,
რომ 1789 წელი მისთან შედარებით უბრალო წინდელი იყოს.
შეიძლება ამ გროგალს სიახლოვის დათხოვის ამბავი კი არ აუყ-
ნებს, არამედ იგივე მიზეზები, რომელნიც დღემდის ამოძრავებ-
დნენ რუსეთის ხალხს.

დიდი, ხალხი—ჟურ ჟურობით მანინ—გულგრილად დახვდა სია-
ხლოვის დათხოვას, და, აი რატომ, ჟურ ერთი იმ უთვალავ რე-
ზოლუციებში, „საკაცა“-ებში და ფართი-ფურთში, რომლითაც სია-
ხლოვის წურვის გამაგრებას ვიბრძობდნენ, დიდი დოზა ერიც
ხელაფურთ მუქარის მთავრობისადმი, ხელაფურთ ადგილობრივებს
ენტრუხაზში და გტაცება. მეორე: უკიდურესმა პარტიებმა დიდი
სამსახური გაუწიეს უკიდურეს შემარჯუნეთ და სავაზოდ გტაცეს
სახელი იმ დაწესებულებას, სადაც მათი წარმომადგენელი მუშაობ-
დნენ. მესამე: რევოლუცია არ არის რეგულარული მანქანა, რომე-
ლიც მუდმივ ერთ დონეზე მიდის. რევოლუცია შედგება და განუ-
წყვეტელი პროცესია, მუდმივად იმედნად, რამდენადაც მუდმივი და
განუწყვეტელია დრო, ცხოვრება და ცხოვრებაში რსებული მუდმი-
ვი ბრძოლა ინდივიდუუმებისა, კლასებისა, ერებისა. რუსეთის გილან-
დელი რევოლუციონერ სწორედ ამ სახლით არის გასახლდა. დღეს
რევოლუციის ზუღის დატყეულია, შიშველებულია. ტერიტორიის
რევოლუციის ვიბრძობებს, რომ ჟურ ჟურობით ვერცხდის წაუღს
იმ სიმიხედ არ აუწყობს, სადაც წუ ჯი დღეიღეს იწყებს. ტერიტო-
რია თან და თან განხრდობს, —ის გტყვს გარეშე, —მკრამ სია-
ხლოვის დათხოვას არ არის ის სახელი მუგუხალი, რომელიც
გმცხვს კავლივებს. ეს შიშველად სახლი მძღვარი „გოზარია“
პროპაგანდისტებისა და ავტორიტების ხელში, რომელნიც მას შე-
საფურად გამოთქვებენ.

არაფინ არ იცის, რას ვეპოზადებს ხვალისდელი დღე, იქნება
თუ არა საფრანგეთისებური რევოლუცია, და თუ იქნება, ვინ გაი-
მარჯვებს—მთავრებს თუ რევოლუცია. ეს მომავლის საიდუმლოე-
ბაა; მომავალი არაფინ არ იცის და არც შეიძლება იცოდეს; არ
შეიძლება იმით, რომ არ შეიძლება დასავლეთით მანინ მებრძოლ
ძალთა გამოანგარიშება. რევოლუცია რომ პატარა ტერიტორიასზე
ხდებოდეს, მაკალითად საქართველოში, ან ქუთაისის გუბერნიასში,
ან ქალაქ ტფილისში და ესდავე ვიცოდეთ, რომ ამ რევოლუციამ
არაფინ არ ჩაერება, მაშინ ადვილად შეიძლება მებრძოლ ძალთა გ-
მოანგარიშება; მკრამ შეუძლებელია ამ ძალების გამოანგარიშება
უზარმაზარ რუსეთში, სადაც ერთმანეთში არეულია კონსერვატიუ-
ლი და რევოლუციონური ოჯქები, ეროვნული შუღლი, სისხ და
სხვა ერები, სტატები და თანხარი ბრძოლა: ზოლიტიკური, ეკო-
ნომიური სარწმუნოებრივი, ეროვნული, წოდებრივი და სხ. მარ-
თადაც, პატარა ტერიტორიასზედ იქნება ასეთი არეულობა, მა-
გრამ ეს ტერიტორია იმედნად პატარა, რომ იგი გულის ხელზე
გუდღებს და დაწვრილებით შეგვიძინებს გამოთავისუფლებით და გამო-
ვანგარიშით ერთი სურვილი, მისი მისწრაფება, ბანაკების რაო-
დენობა, ძალა და დასავლეთით მანინ გამოვინებით ბრძოლის შე-
დგობა.

ასე თუ ისე, დღეს ჩვენ გვიხრებებს დიდი სიფრთხილი,
ზოლიტიკური ტაქტი. შირის მჭკრეტელია და სიდიდით ფრთხი-

ლი და წინაში წარუღი სიფრთხილი ა თვალბანაკეულ სიფრთხილს, რომე-
ლიც თითქმის უთვალავი ხრშია გადახეობით და კისრის მოტე-
ხით თვლებს. ჩვენ უნდა უჩქარდეთ შიშველ მხადეაში, რომ
ავტორიტის ქარიშხალი ხელგრილი არ მოგვასწრეს და ისე ადვი-
ლად არ დაგვტრიალოს რევოლუციონერ კორანტელში, რაკორც
დაკეშირში დაგვტრიალოს. ნუ ვიძებთ ხელში ახრდეს, თუ მის
მისწრებას ვერ გვუბრძობთ; ნუ ვიხმართ ახრდეს ასე, თუ სიფ-
რთიანი ახრდობი არ გუგონებს, რომ გამოჩვენება შესაძლებელია,
რაც შეიძლება ნაკლები გტაცება, ნაკლები უნდავთ იმედი და
უბლა ადგილობრივებს და რაც შეიძლება მეტი კრიტიკული ვინება,
მებრძოლ ძალთა თანხურ აწინ-დაწინე. და ამის მანხედვით მოქმე-
დება. ამით გამოჩვენებს თამამი, გურთამი, თეში და ტოტემი და
ამითვე გამოჩვენებს ხალხი რუსეთშიც.

* * *
დაიკეტა თუ არა სახელმწიფო სიახლოვის გარეშე, დეპუტა-
ტი პატარაებში ხასხდენ, რომ სიახლოვის შემდეგ თინდინდის
განხილენ და აქ მოილაპარაკეს იმის შესახებ, თუ რა გზას დაადგენ
სიახლოვის დატყევა კამო. ესეა მე ვეკითხები ჩვენებურ ცენ-
ტრალისტებს, რატომ ცენტრალისტურ რუსეთში არ განგტყენ
თავიანთი კრებები და რად მებრძოლენ ავტონომიურ თინდინდაში, —
ეს ერთი. მეორე: იგივე ცენტრალისტები, რომელთაც უბრა-
ლო დოზა უჩივს—„პროლეტარიათ ვეკლა ქვეყნისა, შეერთდით!“—
თაღოსითიურ სისტემად გადატყევენ, ვეკლას არწმუნებენ, ვითომ
ავტონომია ნიშნავს ავტონომიურ ქვეყნის პროლეტარიატის გა-
მოთქმას, და მე ვეკითხები ამ ცენტრალისტებს, რისგან
მიხდა, რომ თინდინდაის „გამოთქმულმა“ პროლეტარიატმა თი-
თქმის მთლად შეკუნა თინდინდაის ცხოვრება ერთსულთაგან გა-
ფიცეთ? რისგან მიხდა, რომ თინდინდაის მუშათა 300 წარ-
მომადგენელი სოლიდარობის ნიშნად სტუმრად ეწვია ბალტიის
მხარის მუშებს? ვინც ამტაცებს, რომ ავტონომია და ფედერაცია
მუშათა არმიას აქვს ბატონობა, იმას ან სრულად არ ესმის დედაწირი
დოზისგან—„პროლეტარიათ ვეკლა ქვეყნისა, შეერთდით!“—ან
გულუბრყვალად ჭკობია, ვითომ ავტონომიურ ოჯქების სახედვრებს
შეუძლიანთ სახედვრები დაუდონ სერთამორისი მუშათა კლასის
სოლიდარობის.

მესამე: პეტროგრადის დეპუტათა საკენტი იტყობინება. „7
ივლისს უმადელისად დამტაცებულ თინდინდაის სეიმის წესდების
ძალით თინდინდაის სეიმა შესდგება ერთ პალიატინგან, რომელშიაც
მონაწილეობას იღებს 200 წევრი. არჩევნები ხდება სამ წელიწადში
ერთსულ ბირდაბარ და პროპორციონალურ წესით. საარჩევნო
უფლება აქვს თინდინდაის ეკლა მოქალაქეს, ვინც კი 24 წლის
ნაკლებისა არ არის ვანტურწევლილ სქესისა. ქალებსაც უფლება
აქვთ არჩეულ იქმნენ.“ გესმით თუ არა ამ დეპუტათ მინდინდაის
ბრთ ცენტრალისტები? ავტონომიურმა თინდინდამ ცოტად თუ
ბეგრად განხორციელა დემოკრატიული ზოლიტიკური იღალო. შიშველ
ქვეყნისაზე არსად არ არის პროპორციონალური წარმომადგენლობა,
ავტონომიურმა თინდინდამ კი ადვილად განხორციელა იგი; შიშველ
ქვეყნისაზე არსად არ არის ერთპალატიანი პარლამენტი, თინდინ-
დამ კი ეკლას მაკალითი უჩვენა და პირველში შემოიღო ეს დემო-
კრატიული დაწესებულება; შიშველ ქვეყნისაზე მარტო ამერავის ფედე-
რაციის წოკიერთი მტაცებას და ავტორიტის ფედერაციულ მტა-
ტებში ეძლევათ ქალებს ერთ და იმავე დროს აქტიური და პასი-
ური საარჩევნო უფლება, ეგობაში კი პირველად ავტონომიურმა
თინდინდამ მისცა ქალებს ეს უფლება და ზოლიტიკურად მამა-
კაცებთან გათანასწორა. ვიცი, წოკიერთობი მამინვე მომხლადან პირმა
თინდინდაის ერთპალატიანი პარლამენტის დადგენილებანი მანინ
ხელმწიფეში უნდა დაატყეოს. მამინდავე მის შეუღლიან არც დაამ-

ტეიტოსო, მასხადამე, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ერთპალა-
ტიან სისტემის შემოღებასაო. მართალია, სრული ტემპირიტებისა,
მაგრამ უაფროდ ამავე ცენტრალისტების დოლიკას, რომელიც აი
სადაცდის მიგვიყვანს: რათა ერთპალატიან პარლამენტს შეძლება მიე-
წინა ფაქტურად კამოიეროს თავისი დემოკრატიზმი და რუსეთის
ხელშეწყობის წაერთვის უფლება ვატოსი, ამისთვის საჭიროა ფინან-
სიანის სრული ზოლიტიკური დამოუკიდებლობა. მასხადამე ჩვენ
მხარი უნდა დაეყუბროთ ფინანსიანის, თუ იგი რუსეთისკან განშე-
რებას მოისურვებს.

მე მინდა ჩვენებურ ცენტრალისტების ერთი კითხვა მივნი-
როგორ ჰქონათ მათ, საქართველომ რომ ავტონომია მოიხვედოს,
ისეთსავე დემოკრატიულ წყობალებას დაიარსებს, როგორც ფინანს-
დამი დაიარსა, თუ ეგრეთვეს შიბლინურ ორპალატიან სეიმსა და მე-
სიდუდულ საინერგონ სიტემის აქვეყნებ? მე ვგონია, საქართველო
ფინანსიანის არ ჩამორჩება და იქნება რეფერენდუმის შემოი-
დოს. შეიძლება ბუენი ჩემი მხარს არ დაეთანხმონ, მაგრამ იმაზე
ვერ იტყვიან უარს, რომ ავტონომიური საქართველო ცენტრ-
ალისტურ რუსეთისკენ გადასვლით უფრო დემოკრატიულად მოაქვიათ.
ცხადია, ასინი, უინც რუსეთში ცენტრალისტის კტრფილატიან—და
მათ შორის ჩვენებური სიცოცხლე დემოკრატიკა—საქართველოს ფეხ-
ბზე ათფურცან ქვას აბამენ და შეუძლებდად ხდიან უფუფეკვარ
პროგრესსა და წინ სვლას. ამ შემთხვევაში ცენტრალისტები,
შეცნებულად თუ შეუცნებლად, არც დემოკრატიები არიან და არც
პროგრესისტები.

მაგრამ ბრმა დავმა, იუსტიური დიპლომატიკა და დიპლო-
მატიკური იუსტიტიკისი არაფერს არ დასჯებს: არც დოლიკას, არც
სად ებნებას და არც ისტორიას. ქრისტიანობის დამატეკავები
იქამდის მივიდნენ, რომ ქრისტიანის სხელოთ კაცისიკეკლბობას და
ბატონიშობას გუნდრეკის უკმედეგ; ასეთივე ამავე დამართათ ჩვენებ-
ებურ მარქსისტებს, რომელნიც წამდარეკიმ მარქსის სხელოთაში იხე-
ლებიან და იქამდის მივიდნენ, რომ მარქსის სხელოთ წამდარეკიმ
თავისი მარქსისკენ შეურაცხყოფისკენ აქნებენ. ტუუადად კი არ ამბო-
ბდა პრუდონი: პრუდონისტები სუფიკები არიან; ტუუადად კი არ
ამბობდა მარქსი: მე მარქსისტი არ ვარო, ნეტა ვუღმბ თუ უგრძნო,
რომ ასეთი უარსაუთუელი მარქსისტები მას საქართველოშიაც გაუ-
ჩნდებიან!...

* *

აი ხალხი ნიშუში ზოლიტიკურ გარეუნილებასა და პარტიულ
კარწინილებასა. „მოსამს“ სწორედ თედავიდან, რომ იქ ხანაშვილი
კადიხადეს ტრადიკულად მოკლულ მთა ჩატამის სუფას მისახე-
სებლად. ხანაშვილის შემდეგ ჩვეულებრივი სიტყვა დაიწყო. ტრები-
ნახე ასულა ერთი სიტყვა—დემოკრატი, რომელიც ჩიტამის წამებულ
გვამი ტრებიუნდ კამოუენებაა, ხოლო მისი უმწიკელო სხეული პარ-
ტიულ ბურთად, რომელიც წინ გაუკვდა და ამით ამირთბდა პარტიულ
დულოს გატანას. ჩვეულებრივ ენაზე ამ სიტყვებს ჩვენთან პარტი-
ული პარლამენტობა, გარეუნილება და გახრწნილობა, პარტიულ ენაზე
კი მას უწოდებენ პარტიულ პრინციპიანდს და აკტივიანს. ზემო-
ხსენებულა ორატორი უზნეობის სახედაცნსც კადანცილდა და თავის
ტემპიანი ფეხით წამილწა და შეღახა პარტიოსან ადამიანის გვამი. მე
დარწმუნებულა ვარ, კანდიერი ორატორი ჩიტამის პირად და
დამოინებულა მტკბილი რომ უთვიალიყო, ის ასე თავსეულად არ
მოქეტიდა მის სახელს, მაგრამ პარტიული ინტერესი მოითხოვდა
ჩიტამის გვამის შეღახვას და პარტიის მისამც დაიცვა თავის
პარტინის ინტერესი.

როგორც ხედავთ, მთხები მარტა კანტიკლს არ ჰყოფდა.
5—ლი

დემოკრატიული სსამართლო

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო არსებობს, ყოველ მთა-
ვრობას სამნაირი დანიშნულება აქვს: საკანონმდებლო, სამმარ-
თველო და სამოსამართლო. სადაც არ არის კანონმდებლობა,
მმართველობა და სასამართლო, იქ არც სახელმწიფოა. რო-
გორც უნდა იყოს წარმოდგარი სახელმწიფო: დაპყრობით,
უზურპაციით თუ კავშირით, სულ ერთია, იქ უმკველად
უნდა იყოს სამივე დარგი მთავრობისა. შეიძლება მათ შო-
რის გაბატონდეს ერთი რომელიმე დარგი, რომელიმაც, შეი-
ძლება, დამორჩილოს მეორე მხარე, ან თავის უფლებას გა-
დაქარბოს, შეიძლება სამივე დარგის დანიშნულება ერთმა
დაწესებულებამ მიითვისოს, მაგრამ ყოველთვის სჩანს მთა-
ვრობის ამა თუ იმ მოქმედებაში ან კანონმდებლობა, ან
მმართველობა, ან მოსამართლეობა. ჯერ კიდევ არისტო-
ტელმა შენიშნა ეს მოვლენა, მაგრამ იმაზე კი არაფერი სთ-
ქვა, თუ რა დამოკიდებულება უნდა იყოს მათ შორის. ეს
საკითხი დაწვრილებით გამოიკვლიეს მხოლოდ მეფერამეტე
საუკუნეში საფრანგეთის მოაზრებებმა და მეცნიერებმა, რო-
მელნიც გულდასმით შეუღვენ იმის ძიებას, თუ როგორ უნ-
და მოეწყოს სახელმწიფო. რავგარი ურთიერთობა უნდა დამ-
ყარდეს მთავრობის სამნაირ დარგთა შორის, რომ შეიძლებო-
დეს უზრუნველყოფა მოქალაქეთა თავისუფლებისა და მმარ-
თველ წრეების ალაგვმა.

დიდებულ რევოლუციამდის საფრანგეთში მთავრობის
ბოროტმოქმედებამ, თვითნებობამ და ძალმომრეობამ უმაღლეს
წერტილამდე მიადწია და აზრი მთავრობის ალაგვისაკ პირ-
ველად იქ დაიბადა. ეს საკითხი საუცხოვოდ და დაწვრილე-
ბით შეიმუშავა მონტესკიემ თავის განთქმულ თხზულებაში
„კანონების სული“. მონტესკიემ ბრწყინვალედ ამტკიცებს, რომ,
როცა ერთი და იგივე დაწესებულება ორნაირ დანიშნულე-
ბას ასრულებს, როცა იგი კანონმდებელიც არის და მისი
აღმასრულებელიც, ასეთ შემთხვევაში მოქალაქეთა თავისუ-
ფლება შეუძლებელია. თავისუფლება შეუძლებელია აგრეთვე
იქ, სადაც სასამართლო გამოყოფილი არ არის საკანონმდე-
ბლო და აღმასრულებელ მთავრობისგან. თუ მოსამართლეც
და კანონმდებელიც ერთი და იგივე პირია, მოქალაქეთა თა-
ვისუფლებას საფრთხე მოელის, რადგან მოსამართლეს ყოველ-
თვის შეუძლიან ამა თუ იმ შემთხვევაში კანონი შესცვალოს
და ისეთი კანონი გამოსცეს, როგორც საჭიროა მისთვის.
სასამართლო და აღმასრულებელი დაწესებულებანი რომ ერ-
თად აურთიოთ, ყოველ მოსამართლეს შეუძლიან ტირანად
გადაიქცეს,—მმართველობის დროს ის ყოველ ნაბიჯზე დაარ-
ღევს კანონს და სასამართლოში თავის თავს თვითონ გაა-
სამართლებს.

მონტესკიეს იდეა სავსებით შეითვისა საფრანგეთის რე-
ვოლუციის დროის მოწინავე თაობამ და 1791 წელს, როცა
გამოცხადებულ იქნა მოქალაქისა და ადამიანის უფლებები,
ეროვნულმა კრებამ დაადგინა, რომ ის „საზოგადოება კონ-
სტიტუციონური არ არის, სადაც უზრუნველყოფილი არაა
უფლებები და დანაწილებული არ არის მთავრობა“, ესე
იგი ასეთ საზოგადოებას არა აქვს თავისუფალი დაწესებულე-
ბანი.

იდეა სასამართლოს დამოუკიდებლობის თანდათან ფეხს
იკიდებდა და ეხლა გადაქრით შეიძლება ითქვას, რომ იმ
ქვეყანაში, სადაც სასამართლო დამოუკიდებელი არ არის,
თავისუფლება არ არსებობს. სასამართლოს დამოუკიდებლობა

დამყარებულია იმ პრინციპზე, რომ ყველა სადავო საქმე შეეხება მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივ სასამართლოს. მთავრობის არც ერთ სხვა დარგს არ შეუძლიან სასამართლოს საქმეში ჩაეროის. არ შეიძლება დაარსება ისეთ განსაკუთრებულ სასამართლოების, რომელნიც ჩვეულებრივ სასამართლოს ექიმებთან, არც ერთ მოქალაქეს არ უნდა წაერავას უფლება მიმართოს ჩვეულებრივ სასამართლოს იმ შემთხვევაში, როცა მისი უფლება დარღვეული და შელახულია. ყოველნაირ დავას არჩევს ჩვეულებრივი სასამართლო და ყველა მოქალაქენი თანასწორნი არიან მის წინაშე.—ეს არის საფუძველი დამოუკიდებელ სასამართლოსი ყოველ განათლებულ და თავისუფალ ქვეყანაში.

სასამართლოს მთავარი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ იგი—ტოკვილისა არ იყოს—შუამავალია მოდავეთა შორის. იგი შუამავალია აგრეთვე მთავრობისა და ხალხის შორის, იგი არკვევს და ანიჭებს უფლებას ამა თუ იმ მხარეს, როცა უფლება სადავო ხდება, იცავს ამ უფლებებს, როცა იგი ვისიმე მხრით დარღვეულია და არ დასდევს იმას, თუ ვინ დაარღვია უფლება,—მთავრობამ თუ ხალხმა.

სასამართლო, მოქალაქეთა კერძო უფლებების გარდა, იცავს საზოგადოებისა და სახელმწიფოს უფლებას და ამ შემთხვევაში მთავრობის წარმომადგენელი სასამართლოსგან თხოულობს უფლების დამრღვევის დასჯას და დარღვეულ უფლების აღდგენას. მაგრამ ხშირად თვითონ მთავრობაც არღვევს მოქალაქეთა უფლებებს, არღვევს მის თავისუფლებისა და პიროვნების ხელუხლებლობის უფლებას და სხ. ამ შემთხვევაში მოქალაქეს ნება უნდა ჰქონდეს სასამართლოს მიმართოს და სთხოვოს მისი უფლების აღდგენა და მთავრობის წარმომადგენელის დასჯა.

იქ, სადაც ზემოხსენებული სამი დარგი სასამართლოსი ჩაბარებული აქვს ჩვეულებრივ სასამართლოს, იგი დამოუკიდებელ სასამართლოდ უნდა ჩაითვალოს. ასეთ ქვეყანაში სასამართლო დამცველია კანონიერებისა და მოქალაქეთა კონსტიტუციონურ უფლებებისა. ასეთი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს ინგლისსა და ამერიკაში. ეს უფლება ხალხმა მედგარ ბრძოლის შემდეგ მოუპოვა სასამართლოს. ფეოდალურ წესწყობილების დროს მოსამართლის დანიშნულებას თვითონ მეფეები ასრულებდნენ. შემდეგ ეს უფლება გადასცეს თავის მოხელეებს, რომელნიც მეფის სახელით ასამართლებდნენ ხალხს. აქედან წარმოსდგა მეფის უფლება შესახებ განსაკუთრებულ სასამართლოების დანიშნისა. სწორედ აქედანვე იწყება აუარებელი ბოროტმოქმედება სასამართლოს მხრივ. მე. XVII საუკუნეში ინგლისში გაძლიერდა საიდუმლო სასამართლო, რომელიც თავზარს სცემდა ხალხს. ასეთ სასამართლოს ხალხმა იმით დაუწყაო ბრძოლა, რომ იგი უარყოფდა მეფის მხრით გასამართლების უფლებას და თხოულობდა მუდმივ და ჩვეულებრივ სასამართლოს.

ერთხელ მეფემ იაკობ I-მა მოინდომა სასამართლოს საქმეში ჩარევა. მოსამართლე კუკმა ასეთი პასუხი გასცა მის წარმომადგენელს: „პირადათ მეფეს არ შეუძლიან არც სისხლისა და არც სამოქალაქო საქმის გარჩევა, რადგან ყოველი სადავო საქმე უნდა გაარჩიოს მოსამართლემ თანახმად ინგლისის კანონებისა და ჩვეულებისა. მეფეს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ უმაღლეს სასამართლოს კრებას, მაგრამ საქმეს მაინც ის კი არ გაარჩევს, არამედ სასამართლო.“ რევოლუციის შემდეგ ინგლისის პარლამენტმა დაადგინა, რომ არც მეფესა და არც მის საბჭოს არავისი გასამართლება არ შეუძლიანთ და ეს უფლება ეკუთვნის მხოლოდ ჩვეულებრივ სასამართლოს.

საფრანგეთის კონსტიტუციამ 1791 წელს უფრო ნათლად აღნიშნა სასამართლოს მოვალეობა. მაშინდელ კონსტიტუციაში ნათქვამი იყო, რომ ვისიმე გასამართლება არ შეუძლიან არც კანონმდებელ დაწესებულებას და არც მეფეს. მოქალაქეთა გასამართლების უფლება აქვს მხოლოდ კანონით დაწესებულ სასამართლოს და არც ერთი მოსამართლე არ უნდა დაემორჩილოს რომელიმე სხვა განსაკუთრებულ სასამართლოსა.

ევროპის კონტინენტზე სასამართლოს ერთი მხრით არა აქვს ისეთი ფართო უფლება, როგორც აქვს ინგლისისა და ამერიკის სასამართლოს. ევროპაში სასამართლოს უფლება არა აქვს მთავრობის აგენტებზეც ისეთივე წესით გასამართლოს, როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეს ასამართლებს. ზოგ სახელმწიფოში მოხელეთა გასამართლებისათვის განსაკუთრებული დაწესებულება არსებობს, ზოგში კი მოხელის გასამართლებისთვის საჭიროა მთავრობის ნებართვა, ურომლისოდ სასამართლოს უფლება არა აქვს მოხელე გასამართლოს. ჯერ კიდევ რევოლუციის დროს საფრანგეთში ისეთი წესი შემოიღეს, რომ სასამართლოს არ შეეძლო სახელმწიფო საბჭოს ნებადაურთველად მოხელის გასამართლება ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც იმის სამსახურს შეეხებოდა. ეს წესი საფრანგეთში დღესაც არსებობს. სხვათა შორის აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოს წევრებს ნიშნავს და ითხოვს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ინგლისში მთავრობის უმაღლეს მოხელეთა წინააღმდეგ სამოქალაქო დავის აღძვრა კანონით შეიძლება მხოლოდ მეფის ნებართვით, ფაქტიურად კი ასეთ ნებართვას მეფე ყოველთვის იძლევა. ხოლო სხვა მოხელეთა წინააღმდეგ დავის აღძვრა ყველას შეუძლიან უნებართვოდ. ყველა მოხელე ერთნაირად აგებს პასუხს იმ დანაშაულობის გამო, რომელიც მან ჩაიდინა კერძო ცხოვრებაშიაც და სამსახურშიაც. ორივე შემთხვევაში პირადად ის არის პასუხისმგებელი და არ შეუძლიან თავი იმით იშარტლოს, ვითომ მე მხოლოდ ჩემი უფროსის ბრძანება შევასრულეო. თუ სალდათმა აფიკრის ბრძანებით მოკლა კაცი, მას არ შეუძლიან თავის გაშართლება ბრძანების ასრულებით: ის პირადად აგებს პასუხს და ვერავითარი ბრძანება ვერ იხსნის მას. თუ პოლიციელმა უფროსის ბრძანება შეასრულა და უკანონოდ დააპატიმრა ვინმე, ის პასუხისმგებელია სასამართლოს წინაშე პიროვნების ხელუხლებლობის კანონის დარღვევისთვის. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს ინგლისის სასამართლო მტკიცედ იცავს. ინგლისში იშვიათია სამსახურის დროს ბოროტმოქმედების ჩადენის მავალითი, რადგან ყველა მოხელემ კარვად იცის, რომ ის სასტიკად დაიჯება დანაშაულობისთვის და ამიტომ ერიდება კანონის დარღვევას, მაგრამ ინგლისის სასამართლოს ყოველ წლებით უხდება მინც ისეთ საქმეების გარჩევა, რომელიც შეეხებოდა პოლიციისა და აღმინისტრაციის მხრით კანონის დარღვევას, და აღმწავებს სასტიკად სჯის.

ამას წინად მანჩესტერში ნაფიკ ვეჭილთა სასამართლომ გააჩაჩა საქმე პირველ მინისტრის სოლსმბიურისა, რომელსაც დეპუტატი ბრიენი დიფამაციას უწიდა. ცოტა ხნის შემდეგ ყურნალისტმა სიმსმა საჩივარი აღძრა დედოფლის ძმისწულისა და ბრიტანიის ჯარების მთავარსარდლის, კემბრიჯის ჰერცოგის წინააღმდეგ, რომელმაც უცაბედდ ხელი ჰკრა სიმსს. მოსამართლემ უარი უთხრა სიმსს, საკმარისი საბუთი არა გაქეთო, მაგრამ უმაღლესმა სასამართლომ საჩივარი მიიღო და მისმა თავმჯდომარემ ასე დაასაბუთა სასამარ.

თლოს გადაწყვეტილება: „საქიროა ინგლისელებმა იცოდნენ, რომ კანონის წინაშე დედოფლის ყველა ქვეშევრდომნი, რაც უნდა მალა იდგენ ისინი წოდებითა და ხარისხით, თანასწორნი არიან“. თუ აღმინისტრაცია რაიმე უსამართლობას ჩადის, სასამართლო აფრთხილებს მას, და თუ ამან არ გასჭრა, კანონის დამრღვევს სასამართლო ბრალსა სდებს იმაში, რომ ის არ დაემორჩილა სასამართლოს დადგენილებას, და აპატიმრებს.

ერთხელ ინგლისის მატროსი, ვინმე ფლოიტი სამსახურიდან გაიქცა. პოლიციამ მის მაგივრად შეცდომით ვინმე ტომსონი დააპატიმრა და გაგზავნა ერთ სამხედრო გემზე, რომლის უფროსმა მის პროტესტს ყურადღება არ მიაქცია და დააპატიმრა. სასამართლომ მაშინვე ბრძანება გაუგზავნა გემის უფროსს, პატიმარი წარმოადგინეთ და მისი დაპატიმრების ბრძანების ქალაქში მოიტანეთ. გემის უფროსმა ტომსონი სასამართლოში გაგზავნა, თვითონ კი არ მივიდა. სასამართლომ მოითხოვა დაპატიმრების ბრძანება, საადმირალს წარმოამდგინეს კი მხოლოდ მისი პირი ჰქონდა. ამის გამო მოსამართლეთა და მის შორის ასეთი დიალოგი მოხდა:

მოსამართლე. ჩვენ გვსურს ტომსონის დაპატიმრების ბრძანება მივიღოთ.

მეორე მოსამ. თქვენ არ ემორჩილებით ბრძანებას. თქვენ დოკუმენტი პასუხთან ერთად უნდა მოგეტანათ. თქვენ ამბობთ, არა მიაქვსო და არც პასუხს იძლევი. რატომ? თქვენ შეურაცხყოფთ სასამართლოს.

ადმინისტრაციას წარმომაგებ ბრძანება თან არა მიაქვს. **მოსამართლე.** ამ შემთხვევაში სასამართლოში არ უნდა მოსულიყავით და ასეთი სისულელე არ გეტქვათ. ჩვენ ეხლავე დავაპატიმრებთ გემის კაპიტანს. არ შეიძლება ინგლისის კანონების არ ცოდნით იმართლოთ თავი და ასე მსახვრად აიგდოთ მოქალაქობრივი თავისუფლება.

მეორე დღეს გემის კაპიტანი, ჰერცოგი ველინგტონი დააპატიმრეს და, როცა სასამართლოში გაგზავნეს, მოსამართლემ უთხრა: „თქვენნი წარმომადგენელი იმით გამართლებდით, რომ თქვენ თქვენი უფროსის ბრძანებით მოქმედებდით. ეგ საბუთი არ არის. თქვენ დიდად შეურაცხავით სასამართლო. ჩვენ შეგვეძლო თქვენი დაპატიმრება, მაგრამ ჯერ 12000 მანეთით გაჯარიმებით“.

ინგლისის სასამართლოს უფლება აქვს სატრუსალოში ჩასვას ის კაცი, რომელიც შეურაცხყოფს სასამართლოს. კანონში ნათქვამი არ არის დაპატიმრების ვადა, ასე რომ სასამართლოს შეუძლიან თავის შეურაცხყოფელს უვადო დაპატიმრება გადაუწყვიტოს. ეს სასჯელი იმიტომ არის საშინელი დასჯილთათვის, რომ მეფესაც კი არ შეუძლია მას სასჯელი აპატიოს.

მაგრამ სასამართლო ისე დამოუკიდებელი და დემოკრატიულიდ მოწყობილი არსად არ არის, როგორც ამერიკაში. იქ სასამართლო ორ ნაწილად იყოფება: შტატებისა და საერო, ფედერატიული, რომელიც ისეთ საქმეებს არჩევს, რომელნიც შეეხებიან ფედერატიულ კანონების დარღვევას. ორივე სასამართლოს უფლება აქვს მთავრობის მოხელეთა საქმეები გააჩიროს და ვისიმე დაუკითხავად დასაჯოს. ყველა მოქალაქეს შეუძლიან ყველა დიდ და პატარა მოხელეს ბრალი დასდოს და სამართალში მისცეს, ამერიკის სასამართლო იმით განსხვავდება სხვა ქვეყნების სასამართლოებისაგან, რომ მას უფლება აქვს ინელმძვანელოს უფრო კონსტიტუციით, ძირითად კანონებით, ვიდრე უბრალო სა-

კანონმდებლო დაწესებულების მიერ გამოცემულ კანონებით, რომელნიც, შეიძლება, კონსტიტუციას არ ეთანხმებოდნენ. ეს უფლება ამერიკის სასამართლოს გარდა არც ერთ სხვა სასამართლოს არა აქვს. დიდი უფლება აქვს მინიჭებული კავშირის სასამართლოს, რომელიც ხშირად შტატების დავასაც არჩევს ხოლმე. „როგორღაც შეხამება, — ამბობს ერთი ფრანგი, რომელიც დაესწრო ამ სასამართლოში საქმის გარჩევას, — როცა სასამართლოს ბოკაულომ განაცხადა: ნიუ-იორკის შტატი ოგაიოს შტატს დავას უქნალებსო“. ერთ შტატში ერთი მილიონი მცხოვრებია, მეორეში — ორი. აქედან ცხადია, თუ რა დიდი პასუხის შეგებლობა აწევს სასამართლოს. კავშირის სასამართლო აერთებს შტატებს და უზრუნველყოფს ფედერაციის არსებობას. მას ხშირად მიჰმართავს ხოლმე მთავრობა, როცა იგი თავის უფლებას დარღვეულად სცნობს; მას მიჰმართავს ხოლმე საკანონმდებლო დაწესებულება, როცა მისი უფლება ირღვევა ვისიმე მხრით.

სასამართლოს დამოუკიდებლობა მოითხოვს, რომ მისი წევრები ყოველ მხრით დამოუკიდებელი იყვნენ. ამისთვის დაწესებულია: 1) წესი მოსამართლის არჩევისა, 2) მოსამართლის გამოცვლა არავის არ შეუძლია სასამართლოს გარდა და 3) მოსამართლის ისეთ პირობებში ჩაყენება, რომ ის სავსებით მიუდგომელი იყოს. ამისთვის მას არ შეუძლიან სხვა რაიმე საქმე იკისროს, სხვაგან იმსახუროს, საჩუქარი მიიღოს ვისიმე მხრით. მას ნება არა აქვს მთავრობის მხრით მიიღოს ხარისხი, ჯამაგირი, ჩინი და სხ.; მას ეძლევა საკმაოდ დიდი ჯამაგირი.

მოსამართლეს თვითონ ხალხი ირჩევს, მაგრამ იქ, სადაც სავსებით არ არის აღიარებული საზოგადოდ ხალხის უმაღლესი უფლება, მოსამართლეთა არჩევაც ხალხს არა აქვს მინდობილი. ევროპაში მხოლოდ შვეიცარიის მოსამართლეებს ირჩევენ, მაგრამ ხალხი კი არა, არამედ მისი წარმომადგენელი — ფედერატიული კრება. მოსამართლეთა არჩევანი დემოკრატიულ წესით განხორციელებულია ავსტრალიის ფედერატიულ რესპუბლიკაში და ამერიკის ფედერაციის ზოგიერთ შტატებში. იქ თვითონ ხალხი ირჩევს მოსამართლეებს და ისეთივე უფლებებს აძლევს მათ, როგორც პარლამენტის წევრებს. მაგრამ ინგლისშიაც მოსამართლე ავსტრალიისა და ამერიკის მოსამართლეზე ნაკლებად არ არის დამოუკიდებელი. ეს იმით იხსნება, რომ ინგლისში მტკიცედ არის დაცული მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპი და მისი უზრუნველყოფა. უწინ ინგლისის სასამართლო პირველი მონა და მოსამსახურე იყო გაბატონებულ კლასისა, ეხლა კი, როცა ორივე პალატის გარდა არავის არ შეუძლიან მოსამართლის გამოცვლა, როცა მოსამართლემ სრული ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა ხალხის თვალში და როცა მოსამართლე საპატიო პირად ითვლება საზოგადოებაში, სასამართლო ძირიან-ფესვიანად შეიცვალა და მისი ავტორიტეტი იმდენად გამტკიცდა, რომ ინგლისის სასამართლოს ვერაფერ უსაყვედურებს მიდგომას და ამა თუ იმ კლასის მოსამსახურეობას.

ინგლისის მოსამართლეს არ შეუძლიან სამსახურში წინ წაწევა და ჯილდოს მიღება. ის ქონებრივად უზრუნველყოფილია, ხოლო უფლებით შეუზღუდველი. ამერიკის სასამართლოზე ვიღამაც ასეთი აზრი გამოსთქვა: „პრეზიდენტის შეცდომა ზარალს ვერ მიაყენებს სახელმწიფოს, რადგან მისი უფლება შეზღუდულია. შეიძლება კონგრესიც შესცდეს. ამის გამო ფედერაცია არ დაიღუპება, რადგან კონგრესის შეცდომას გაასწორებს საარჩევნო კრება, რომელიც გამოცვლის

მის წევრებს, მაგრამ, თუ ამერიკის უმაღლეს სასამართლოში უგუნური და უზნეო მოსამართლენი მოხვდენ, ფედერაციის ან ანარქია მოვლის, ან სამოქალაქო ომიო“.

ასეთი მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელ სასამართლოს ჩვენ შეგვეძლო რუსეთსაც შევხვდით, მაგრამ მეტად მიგვაჩნია იმის განმეორება, რაც ყველამ იცის. რუსეთის სასამართლო, რომელიც, მინისტრის დანსკისა არ იყოს, „შეკაზმული ჰყავს შინაგან საქმეთა სამინისტროს“, ნიმუშია ფეოდალურ დროის სასამართლოსი. აუარებელი სამხედრო, საეკლესიო, საჯარო და საგლეხო სასამართლოების არსებობა საკმაოდ ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ რუსეთში ყოველ წოდებისთვის და კლასისთვის ცალკე სასამართლო არსებობს.

ა.

წერილი სამრუმო მართული

როდესაც რუსეთში ბატონ-ყმობა მოისპო, საკირო შეიქნა, რომ გლეხობის ყოფა-მდგომარეობას რაიმე ორგანიზაცია მისცემოდა. ამ დრომდის გლეხის ცხოვრების ყოველივე მხარეს განაგებდა მისი ბატონ-პატრონი სახელმწიფო გადასახადსაც კი შემამულე ჰკრფდადა იგივე იყო პასუხისმგებელი, თუ გლეხებისაგან ხვედრი გადასახადი თავ-თავის დროზე არ იქნებოდა შეტანილი ხაზინაში.

19 თებერვლის კანონმა გლეხი პირადად გაანთავისუფლა, მაგრამ პირადადვე ვერ გაუთანასწორა დანარჩენ წოდებებს, რის გამო საკირო შეიქნა გლეხებს მისცემოდა ცალკე ორგანიზაცია მთავრობის სურდა შეექნა ისეთი კანონი, რომ გლეხებისადმი მინიჭებული თავისუფლება ფიქციად გადაქცეულიყო და იმ ნაირად შეეკრა, შეეზოკა გლეხი, რომ ყოველივე მისი ნაბიჯი ადმინისტრაციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფილიყო და ამასთანავე სახელმწიფო გადასახადი თავ თავის დროზე და უნაკლულად შესულიყო ხაზინაში. ამ მიზნით გამოიცა კანონი შესახებ სოფლის საზოგადოების მართვა-გამგეობისა, რომელიც თითქო თვითმართველობს პრინციპზე არის აგებული.

სოფლის საზოგადოების გამგებელი კანონით არის სოფლის ყრილობა, რომელიც შესდგება ყველა ოჯახის უფროსებისაგან, მიუხედავად სქესისა და წლოვანებისა, საკიროა მხოლოდ ოჯახს ედვას წილი საზოგადო (общинное) მიწა-წყალში. ყრილობა ირჩევს სოფლის მართველობის წევრებს, — მამასახლისს, ხარჯთამკრფებს, ტყისმცველებს და მეველეებს, წარმომადგენლებს „ვოლოსტის“ ყრილობისთვის, და თუ სოფელს რაიმე საზოგადო დაწესებულება აქვს, როგორც, მაგალითად, სკოლა ან პურის მაღაზია, — მათ ზედამხედველბსაც. სოფლის ყრილობას აქვს აგრეთვე უფლება დაადგინოს განაჩენი სოფლის საზოგადოების სხვა და სხვა საკირ ბოროტო საგნებზე მხოლოდ ეს უკანასკნელი უფლება სრული ფიქცია არის, რადგანაც სხვა და სხვა ადმინისტრაციულ დაწესებულებათ და უპირველესად ნაწილის საერობო უფროსთ*) უფლება აქვთ ყრილობის ყოველივე გადაწყვეტილება გააბათილონ. ამას გარდა მამასახლისი სახელად ითვლება სოფლის წარმომადგენლად, ფაქტიურად კი პოლიციის დაბალი მოხე-

*) ნაწილის საერობო უფროსის თანამდებობა დაარსდა 90-იან წლებში. საერობო ნაწილის უფროსს ერძახსთან არავითარი კავშირი არა აქვს, არამედ ის ადმინისტრაციის მოხელეა, რომელსაც დაგლეული აქვს, რაც შეიძლება, შეხედულის სოფლის საზოგადოების და „ვოლოსტის“ თვითმართველობა. მთავრობის თითქო ქრამის სასაცილოდ აგდება სურდა, როდესაც ახალ პოლიციურ მოხელეს საერობო უფროსის სახელი უწოდა.

ლე და ვალდებულია შეარულოს ადმინისტრაციის ყოველგვარი მონდობილობა, თუნდ ამ მონდობილობას სოფელთან არავითარი კავშირი არ ჰქონდეს, მამასახლისს, როგორც ადმინისტრაციის მოხელეს, კანონი აძლევს უფლებას დაადგას სასჯელი სოფლის საზოგადოების წევრს, ე. ი. თავის ამომრჩეველს (sic). ნაწილის საერობო უფროსს შეუძლია სოფლის მამასახლისი დასაჯოს, დროებით გადააყენოს თანამდებობიდან და, თუ საკიროდ დაინახავს, წარუდგინოს ნაწილის საერობო უფროსთა კრებას სრულიად დასათხოვანად. აშკარაა, რომ ასეთ ნაირად ადმინისტრაციისაგან დამოკიდებული მამასახლისი უფრო ერთდება და უგონებს მას, ვიდრე სოფელს, რომლის წარმომადგენლად და ინტერესების დამცველად ითვლება.

რამოდენიმე სოფლის საზოგადოება ადგენს „ვოლოსტს.“ „ვოლოსტ“-ის ყრილობა შესდგება სოფლის საზოგადოებათა წარმომადგენელთაგან, რომელნიც ყოველ ათ მოსახლეზე გზავნიან ერთ წარმომადგენელს. ყრილობა ირჩევს მამასახლისს, მსახულებს და სხვა საკირო მოხელეთ. „ვოლოსტის“ ყრილობასაც ფაქტიური უფლება აქვს მიიღოს განაჩენი თავის საკიროებათა შესახებ. „ვოლოსტ“-ის მამასახლისს იმოდენი ადმინისტრაციული მოვალეობანი აწევს, რომ ის ნამდვილი მოხელეა და არა საზოგადოების წარმომადგენელი. მაგალითად. მამასახლისი მოვალეა მიიღოს ზომები ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენად და შესაპრობად, მოვალეა აგრეთვე თვალყური ადევნოს, რომ მცხოვრებთა შორის „მაინე ხმები არ გავრცელდეს“. მასვე მოსდის მოწერილობა და ბრძანება ყოველ-გვარ სახელმწიფო დაწესებულებისაგან, სინა დიდან დაწყებული გარეშე საქმეთა სამინისტრომდის. „ვოლოსტს“ მინიჭებული აქვს სამსჯარო ფუნქციები. ამ სასამართლოს კომპეტენცია დღეს-დღეობით ძალიან ვრცელია, მაგრამ, როგორც დანარჩენ საქმეებში, აქაც საერობო ნაწილის უფროსისგან შეზღუდულია ეს კომპეტენცია.

სოფლის საზოგადოებათა მართვა-გამგეობა ამიერ კავკასიაში ზეკრძოდ საქართველოში იმავე პრინციპზე არის აშენებული, როგორც შიდა-რუსეთში, ე. ი. ფაქტიურ თვითმართველობაზე. ისეთი წვრილი ერთეული, როგორც არის შიდა რუსეთის „სოფლის საზოგადოება“, ჩვენში არ არსებობს. ჩვენებური სოფლის საზოგადოება შესდგება რამოდენიმე სოფლისაგან და უახლოვედა თავის ფუნქციებით რუსეთის „ვოლოსტს“. სოფლის საზოგადოების ყრილობას ჩვენში შეადგენენ ყველა სრულ-წლოვანი ოჯახის უფროსნი განურჩევლად სქესისა. ჩვენებური სოფლის სასამართლო, შედარებით „ვოლოსტის“ სასამართლოსთან, უფრო მარტივ საქმეებს არჩევს, სამაგიეროდ ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებელია უნდა ითქვას, რომ ის ბოროტი, რომელიც 90-იან წლებში დაადგეს შიდა რუსეთის სოფლებს ნაწილის საერობო უფროსის სახით, ჩვენ სოფლებს ასცილდა, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ფაქტიურად სოფლის საზოგადოება თავის ყრილობით და მამასახლისით სრული ყურ მიჭრილი ყმა არის სამაზრო პოლიციის, ვაი იმ მამასახლისისა და მისი თანამეწყების ბრალი, რომლის სამამასახლისო ფიქცლად არ დაადგენს ისეთ განაჩენს, როგორსაც მას „პრისთავი“ უბრძანებს. სოფლის საზოგადოება იძულებულია მამასახლისად და საერთოდ წარმომადგენლ ებად აირჩიოს ის პირები, რომლებზედაც ბოქაული მიუთითებს, თუ ყრილობის რომელიმე წევრი ბოქაულის სურვილებს წინ აღუდგა, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ „მუტრაციალ“ იქნება ცნობილი და ვარაუდობა.

თალია, პოლიციის მოხელეთ კანონი არ აძლევთ ასეთ უფლებას, მაგრამ პოლიცია არსად არ არის ჩვეული კანონის შესრულებას და მით უმეტეს ჩვენში.

ზემო ნათქვამიდან ნათლად სჩანს, რომ გლეხის ყოფაცხოვრება, როგორც შიდა რუსეთში, სადაც საერობო დაწესებულებანი მოქმედობენ, ისე ჩვენ შიდაც სასვებით ადმინისტრაციის ხელშია. რა არის მიზეზი ამგვარ უკუღმართ გარემოებისა? ის რომ, როგორც თავში ვთქვით, 19 თებერვალს მომხდარმა რევოლუციამ გლეხი პირადადაც ვერ გაუთანასწორა სხვა წოდებათ. რომ ეს უზარმაზარი ნაკლი არ დაჰყოლოდა 19 თებერვლის კანონს, იმ შემთხვევაში არავითარი საფუძველი არ ექმნებოდა გლეხებისთვის ცალკე ორგანიზაციის შექმნას, არამედ მოეწყობოდა „სოფლის საზოგადოება“, რომლის თანასწორ წევრებათ ჩაირიცხებოდნენ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებნი, განურჩევლად წოდებისა და ხელობისა. ამ ნაკლს მოჰყვა ის შედეგი, რომ სოფლის საზოგადოებანი ვერ შეიქმნენ იმ ელემენტებად, რომელთა შეერთებისაგან უნდა შემდგარიყო უფრო მსხვილი თვითმმართველი ერთეული. შედეგი ასეთ უმსგავსო კანონისა ყველასთვის ცხადია: ერობა ვერ იქმნა მოწყობილი იმ პრინციპის თანახმად, რომელიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ადგილობრივ თვით-მართველობისათვის, სახელდობრ მას არ მიეცა კავშირი მცხოვრებლებთან.

ამნაირად მოეწყო საფუძველს მოკლებული ერობა, რომელსაც შეუძლებელია ეწოდოს ადგილობრივი თვითმმართველობა, ვინაიდან ასეთი ერობა ცხოვრებას მოწყვეტილია. ერობა მაშინ შეიქნება მცხოვრებთა ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოდ, როდესაც მას ექნება კავშირი მცხოვრებლებთან, როდესაც მას ექნება ნიადაგი ცხოვრებაში, ე. ი. როდესაც დღევანდელ საზარო ერობას ექნება ფესვები. ასეთ ფესვებად კი უნდა იქმნეს აღიარებული წვრილი საერობო ერთეული, რომლის ფუნქციებს შეასრულებს რუსეთში „ვოლოსტ“-ი, ჩვენში კი სოფლის საზოგადოება. მხოლოდ აუცილებელია, რომ სოფლის საზოგადოების მართვა-გამგეობაში იქმნეს შეტანილი შემდეგი რადიკალური ცვლილებანი: განსაზღვრულ ტერიტორიაზე ყველა მცხოვრებნი დამოუკიდებლად უნდა ჩაირიცხონ სოფლის საზოგადოების წევრებად, მიუხედავად წოდებისა და ხელობისა, და მათ უნდა მიენიჭოთ სრულიად თანასწორი უფლება საზოგადოების მართვა-გამგეობის საქმეებში: სოფლის საზოგადოება უნდა იქნეს განთავისუფლებული საიმპერიო პოლიციის მოვალეობისაგან; არავითარი დამოკიდებულება არ უნდა არსებობდეს საზოგადოების ამორჩეულ პირთა და ადმინისტრაციის შორის.

როდესაც სოფლის საზოგადოების ცხოვრებაში იქნება შეტანილი ჩამოთვლილი ცვლილებანი, მაშინ მასში დამყარდება ნამდვილი თვითმმართველობა. მხოლოდ ასეთ თვითმმართველობას შეუძლია ჩაუნერგოს ხალხს თავისუფლების სიყვარული, გააცნოს მისი გეგმა, ასწავლოს მას როგორ უნდა მოიქცეს, რომ თავისუფალი იქმნეს. თუ სოფლის საზოგადოება შეიქნება ნამდვილ თვითმმართველ ერთეულად, — უეჭველია, უნაკლულად შეასრულებს წვრილ საერობო ერთეულის ფუნქციებს. ცხადია, რომ წვრილ საერობო ერთეულს ექნება არა მარტო სამეურნეო მნიშვნელობა, თუ ასეთ ერთეულად იქმნება აღიარებული სოფლის საზოგადოება, რომლის მართვა-გამგეობა შეიცვლება ზემოდ მოყვანილ გეგმის თანახმად, ვინაიდან მოიხსობა ის უთანასწორობა, რომელიც

დღეს დღეობით არსებობს გლეხებსა და დანარჩენ წოდებათა შორის.

აღნიშნულ მოსაზრებათა გამო, როდესაც ჩვენში ერობის შემოღების დროს წვრილ ერთეულის განსაზღვრაზე მიდგება საქმე, ასეთ ერთეულად უსათუოდ სოფლის საზოგადოება უნდა იქმნეს მიღებული.

ქუთათურა

კ რ მ ბ ა ზ ე ე

(ამბავი)

ქალაქ №-ის მახლობლად, იქ, სადაც უხვი ბუნების მიერ შეფერადებულ ბორცვ-გორაკების გადაღმა, ღრმა ხეობის პირად განმარტოვებით გაშლილა მწვეანე ხავედრ გადაკრული მინდორი, მისის ერთ შეგნიერ საღამოს აუარებელი ხალხი იკრიბებოდა. ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა რაღაც დიადი საქიროების ზრუნვით იყო გატაცებული. აქ ვერ გაიგონებდით ჩვენებურ ქალიშვილების უდარდელ კისკისს, ან იმათ ამყოდ ახალგაზღვების უადგილო და მოუხეშავ ლაზღანდარობას. საზოგადო საქმისათვის ზრუნვა ყველას ნათლად აღბეჭდოდა სახეზე. ასე გვერნებოდათ, ეს ამოდენა ხალხი, რაღაც საჯადოქრო კვერთხის გაქნევით, თავის მხრებით ეზიდება მთელი ქვეყნის ქირსა და ვარამაო. მათ შორის გამართულიყო დიდ დიდ თეორიებსა და საგნებზე კამათი. წარამარა მოისმოდა მარქსი, ენგელსი, სოციალიზმი, ბურჟუა, პროლეტარი, კაპიტალი, ავტონომია, ფედერაცია და სხვა და სხვა. ისეთის რწმენითა და რიხით მსჯელობდნენ, რომ გარეშე კაცს ეგონებოდა, ყველა ეს ტერმინები და თეორიები ამ ხალხის შემუშავებული უნდა იყოსო.

მინდორი, სადაც ეს ხალხი იკრიბებოდა, გაშლილია პატარა მდინარის პირად. ცალი მხრით მას თავს დაჰყურებს მალალი და ურიყოლო კლდე, მეორე მხრით მოიყურება ვიწრო ხეობა, საღ კლდეთა შუა გამომწყვდეული, წინ სამურად ამართულია ბზარნალით შემოსილი ციკაბო, ხალო ერთის მხრით გაუფლის რკინის გზა, საიდანაც დაქანებულ ფერდობზე ჩაუდის ვიწრო ბილიკი.

სამური და სულის დამამშვიდებელი ალაგია ცხოვრებისგან მოქანცულთათვის; საამო და ტკბილი, სანეტაროა შეყვარებულთათვის; ჩინებულია კრებებისთვის. სწორედ ამისთანა ღრმა ხევი-ღრეებში, ამისთანა განმარტოებულ და გავარდნილ ალაკებში გაიწრთენა ხალხი და გაისმა პირველად თავისუფლების ხმა. დიად, ასეთ ხევიებიდან პირველად შადრევანივით ამოხეთქა ტანჯული ხალხის ამოძახილმა. ეს ხევიები, ფრიალო კლდეების ნაპრალები, დაბურული ტყეები, თუ გაშლილი ველ-მინდვრები, სამურად აზნექილ-დაზნექილი ბორცვ-გორაკები, — აი, ის სკალა, ის ტრიბუნა, საიდანაც ხალხს პირველად მოესმა თავისუფალი სიტყვა და სამოქმედოდ გამოიყვანა იგი. ამ ბუნების წიაღში იგი კვლავ გაიგონებს ქეშმარიტებას, რომ უფრო ცხოვლად აღიბეჭდოს მის სულსა და გულზე თავისუფლების, თანასწობის და ერთობის დიადი პრინციპები. აქვე ჩაგრული და მაშვრალი ხალხი აღზრდის თავის არსებაში სესტიკ უურსა, რომ აღადგინოს ადამიანის და ერის დაცემული უფლებანი და მოიპოვოს საშვილიშვილო ბედნიერება.

თან და თან დიდ ძალი ხალხი მოგროვდა, აქ იყვენ წითელ ხალათიანი ყმაწვილები ხელში ჯოჯობი; წითელ შლი-

პოსნები; აქა იქ ერიენ კაკარდოსნებიც, რომლებიც ხაერთო მოძრაობას ბიუროკრატიულ კანცელარიებიდან გარედ გამოეყვანა, ვინ იცის, იქნებ ჩვენც გვერგოს რამ და თვის ოცში მეტი ჯამაგირი მოგვეცნო.

მინდორი ხალხით გაიქედა. ყველა მოუთმენლად მოგლოდა იმ ორატორის მოსმენას, რომელიც დღეს აქ საგანგებოდ ჩამოსულიყო და რომლის სიტყვა პირველი იქნებოდა ხალხისთვის. მახლობელ გორაკზე აიშართა წითელი დროშა, ეს სიმბოლო თავისუფლებისა და წმიდათა წმიდა ყოველ თავისუფლებისათვის მებრძოლთა. მის პირ და პირ სერზე გაიელვა მეორემ, მძლავრად გაუტყლაშუნა ჰაერს, თითქოს იგი, დიდი ხნის დაგუბებული და მოწამლული. სურს გაწმინდოს მიაზმებისაგანაო, და სალამი მისცა თავის მებრძოლ ძმას.

დროშების დანახვაზე აღფრთოვანებულ ხალხს ერთხმად აღმოხდა გულიდან: „გაუმარჯოს თავისუფლებასო“!..

კლდის ერთ მომტრო ნაპრალებზე შედგა მეტად გამხდარი ყმაწვილი კაცი მის სახეზე სიღინჯე, მოსაზრება და ცეცხლი,—ყველა შეთანხმებით გამოკრთოდა. „ამხანაგებოვო“, დაიწყო მან და ხალხი სმენად გადაიქცა. დახელოვნებულისა და გამოცდილ ორატორის მედგარი ხმა მკაფიოდ გაისმოდა; ხალხიც შესაფერ არაგებზე გრიადებდა „ძირს“ ან „გაუმარჯოსო“ და ამ გრიადს ბანს აძლედა მთა და ველი.. ორატორს გამოეკამათა მეორე ორატორი, მესადე და გაისმოდა ნამდვილი პარტიობანა. კრებას მეტი სიფხიზლე და სიცოცხლე დაეტყო. ყველა „კრიტიკულად“ სწონიდა ამა თუ იმ ორატორის ნათქვამს,—ასეთი იყო მიანც და მიანც გარეგანი სახე ამ კრებისა, თუმცა უნდა აღვიაროთ, რომ, სამწუხაროდ, ეს პარტიობა ჩვენებურ-ძველებურ ბანკობანას უფრო მოაგონებდა ადამიანს, ვიდრე საზოგადოების შეგნებულ პოლიტიკურ ჯგუფებად დანაწილებას. აქაც საშინელი ენებათა ღეჟვა, გულის წყრომა და სხვა გამოკრთოდა თითოულის სიტყვაში. აქ გრძობას მეტი ადგილი ჰქონდა დათმობილი, ვიდრე გონებას. მაგრამ ჯერ ღმრ პოლიტიკური ცხოვრების ანაბანასა ვსწავლობთ და არ გვეძრახება.

* *

საზოგადო კამათში მონაწილეობას არ იღებდა მხოლოდ ორი არსება, ესენი მოკრიალებულ სიბ ქვაზე დამსხდარიყვენ და ანკარა მდინარის წყნარ ჩხრილით ტკებოდენ. ორთავეს გულში რაღაც იღუმალი ძალა შეპარვოდა და საამოდ უღიტიენბდა. ეტყობოდა, რომ მათი გრძობები დიდის ხნის შეთანხმებული იყვენ, მარა გაფანატიკოსებული გონება ურჩობდა და ხელს უშლიდა მათ „საერთო საქმეს“.

— რა მდიდარი და ფერადოვანია ჩვენი ქვეყნის ბუნება, — დაარღვია სიჩუმე თამრომ, ცოდევა არაა ამ სიმდიდრით სხვა სარგებლობდეს და ჩვენი ხალხი კი ხახა-ამომშრალი შეპყურებდეს მას ხელში? აი, სხვათა შორის, ამიტომაა საქირო ერის დამოუკიდებლობა, რომ ყველამ თავისი შინაური განძი თავის საკუთარ ქუესა და გემოზე მოიხმაროს, არა, ლეო? გამოჯავრებით ჰკითხა თამრომ გვერდით მჯდომ ყმაწვილს,

რომელსაც ერისა და მის დამოუკიდებლობის ხსენებაზე რაღაც ზაფრა მოსდიოდა.

— შენ კიდევ შენის ავტონომიით გამოდიხარ!

— ოღონდაც! მიუგო თამრომ.

— გაანებე თავი! აი, შენ შევნიერი არსება ხარ, მაგრამ უფრო შევნიერი იქნებოდი, მაგ ავტონომიის რომ არ ახსენებდე და სრულიად გულიდანაც ამოიგლეჯდე.

— რაო? ეგ რა თქვი? აბა როგორ შემიძლია გამოვეთხოვო იმ რწმენას, რომელიც სულსა და გულს ასე რიგად შეთვისებია? პატარაობითვე დედ-მამა სულ ჩვენის ქვეყნის სვე-ბედზე მელაპარაკებოდა, ჩვენი ხალხის დაბეჩავებულ და უნუგეშო მდგომარეობაზე ჩამჩინებდა; ხალხის ასეთ მდგომარეობიდან გამოსაყვანად ის უდიდეს საშუალებად თვლიდა დამოუკიდებლობას და ახლა მე როგორღა შემიძლია მისი უაყუფა, რაც სიყმაწვილითვე შემსისხლ-ხორცებია; გარდა იმისა, რომ ჩემი საკუთარი რწმენა და შეხედულება ამასვე ჩამძახის?!

— საქმეც ეგაა, რომ ჩვენებური ბურჟუა მშობლები პატარაობითვე უმახინჯებენ შეილეს სულსა და გულს თავიანთი ბურჟუაზიული აზრებით. აგინებიათ ერთი რაღაც ავტონომია და წარა-მარა გაიძახით მის სახელს! ამითი გინდათ ხალხს დაეხმაროთ?

— თქვენის შეხედულებით ხალხის დამხმარე თქვენს გარდა აღარავინაა, მაგრამ ეს შემცდარი აზრია! თქვენ მართო პროლეტარებთან გაქვთ საქმე, რომელნიც მხოლოდ ნაწილია ხალხისა და არა მთელი ხალხი.

— დიად, ჩვენ პროლეტარების თვალთა ხედვის წერტილით ვუყურებთ საგანს! აქ მთელი სკოლაა, მთელი ფილოსოფია, თუ გნებავთ..

— პროლეტარების ფილოსოფია! — გააწყვეტინა სიტყვა თამრომ.

— დიად, პროლეტარების!..

— მაშ, რაღას მეტლაუქები, მე ხომ ბურჟუა ვარ შენი სიტყვით, შენ კი პროლეტარი, მაშ ჩვენ შორის ხიდი ჩატეხილია! რა გვაქვს საერთო?

— არა, ჩემო კარგო, აქ საქმე მიმართულებაშია, შეხედულებაში. შეიძლება ადამიანი მდგომარეობით ბურჟუა იყოს, მაგრამ მიმართულებით-კი პროლეტარი..

— ესე იგი ლატაკი!

— ოჰ, კიდევ ვერ გაიგე! რას დამცინი.. ვეცდები, როგორმე შეგავნებინო..

— და როცა შევიგნებ ბურჟუა, აღარვიქნები, ვანა? მაშასადამე, აღარც ავტონომია იქნება საქირო!

— გაანებე, ქალო, თავი მაგ წყველ ბურჟუაზიის მოგონილ ავტონომიას!

— მე მოვიოხვო, ლეომაც გაანებოს თავი მის წინააღმდეგობას! — აღერს-ნარვეი სიცხარით ჩაურთო თამრომ, თვარა ჩვენი მეგობრობის განმტკიცება არ მოხდება არას დროს! არას დროს, გესმის! ასე, კარგად დაიხსოვო.

ლეო არც კი მოვლოდა, თუ ეს საუბარი ასეთი ცხარე კამათის გზას დაადგებოდა; ცოტა აირია კიდევ, მაგრამ მალე თავი შეიკავა და თავმოყვარული სიღინჯით განაგრძო:

— მე... მე, ვინ იცის, როგორ დატრიალდეს საქმე... იქნება... დებუტატადაც კი ამირჩიონ და მაშინ ნახავთ, თუ რა დღე დაადგება თქვენს ბურჟუაზიულ მოთხოვნას...

— პარლამენტის ტრიბუნლიდან გადმოგვეკვრავ, განა, მითრახს?— ცივად მიახლა თამრომ, სჩქაროდ წამოდგა და კრებას შეუერთდა. ლეოც წამოდგა, თამროს პირის პირ დადგა და, თუმცა გაბუტული აყო, მაგრამ შორიდან თვალებით ელამუნებოდა შეგნიერ ქალწულს.

* *

კრება გავრძელდა. ორატორები ერთმანეთს ეკმათებოდნენ; ხალხში კი სამაგალითო წეს-რიგი იყო დაცული. შესაღამოვდა. საღამოს მატარებელმა ჩამოაქროლა და კრებას სტევენით საღამო მისცა. მემანქანემ და მგზავრებმა ცხვირსახოცები გამოჰკიდეს და ხალხმაც დაბლობიდან მათ „ვაშა“ შესძახა. მატარებელმა ჩაიარა. ხალხი მარსელიეზას სიმღერით იშლებოდა. ამ დროს მახლობელ ეკლესიის ზარის ხმა შემოესმათ. ხალხმა ყურები კქვიტა, რადგანაც ეს ხმა კარგს არაფერს ნიშნავდა. ვილაც სერზე გადმოდგა და, აღელვებული, ყენებ-ყენებით იძახდა: „კახაკებო!“

ხალხი შეშფოთდა, მით უმეტეს, რომ, რამდენადაც ეს ალაგი კარგი იყო კრებების გასამართავად, იმდენადვე უვარგისი იყო სტრატეგიულად: მტრის ათიოდე კაცს მაღლობიდან თამამად შეეძლო ასობით გაეფლიტა კრებაზე დამსწრენი. დაფრთხალი ხალხი უგზო-უკვლოდ გარბოდა, აღმართში ერთმანეთს მიეხიდებოდნენ, ზოგიერთები ჩირგვებს თავზე ახტებოდნენ. ან კი რას იზამდნენ? სული ტკბილია და უიარაღო ხალხს რა ძალა ჰქონდა, ისიც ასეთ ჩამწყვდეულ ალაგას?

ამ საერთო არეულობის დროს ლეომ თვალისა და მკარგა თამრო და გამალებით დაეძებდა მას.

გამოჩნდა კახაკთა აფიცრის წითელი გული. მას უკან მოჰყვებოდა რამდენიმე ათეული კახაკებისა. ესენი თავიანთ თავს ბრძოლის ველზე გრძნობდნენ და თოფები მომართული ჰქონდათ.

ხალხის ერთმა ნაწილმა უკვე დაასწრო, ნაწილი კიდევ ხევში იყო, მათ შორის ლეოც.

„შესდექით!“ დასწყვილა აფიცრმა და რამდენიმე თოფი დააღირეს დაბლობისკენ. დარჩენილი ხალხს ერთი ნაწილი ყრუდ დაემორჩილა ბრძანებას და იქვე სმარცხვინოდ ჩაიჩოქა. მეორე ნაწილი კი, რომელსაც თან იარაღიც ჰქონდა, გამოიყო ჯგუფად და თავის მხრით შესძახა კახაკებს: „არ ვაბედოთ სროლა!“

კახაკებიც ამას ელოდნენ და მაშინვე დაახალეს თოფები. ჯგუფმა მოასწრო, იქვე ჩაგორებული ლოდი იფარა და გადარჩა. სწორედ ამ დროს კლდის ერთი ნაპრალიდან, რომე-

ლიც კახაკებს უახლოვდებოდა, იქეკა ყუმბარამ. ხალხი თავზარ დაცემული გარბოდა. კახაკები, რომელთა შორის ორი მძიმედ დასქრა ყუმბარამ, დაფრთხნ. აფიცრმა შეაყენა ისინი და მთელი თავიანთი „არტილერია“ დაუშინეს კლდეს, აქ ყოფილა მტრის მთავარი ძალო. მეგრძოლმა ჯგუფმა, რომელსაც მეთაურობდა ლეო, მაუზერის სისტემის თოფით შეიარაღებული, იხმარა გონიერება და გვერდი აუქცია კახაკებს, რომლებიც კლდეს უშენდნენ ტყვიას. ლეოს დანახვაზე ყუმბარის მსროლელი დაეშვა ნაპრალიდან. საერთო საქიროებამ შეათანხმა თეორიულ ნიადაგზე გაბუტულები—ეგ იყო თამრო. იგი გვერდით ამოუდგა ლეოს და სხვა ამხანაგებს და სრულიად უგნებლად მიახწიეს შინ. კახაკებმა კლდეს რომ ველარაფერი დააკლეს, გაბრუნდნენ და თან წაიყვანეს მხოლოდ თავიანთი დაჭრილები და რამდენიმე ატყვევ.

ამას შემდეგ თამრო და ლეო კიდევ უფრო დაუმეგობრდნენ ერთმანეთს. ისინი კვლავ ერთმანეთს ეკამათებოდა, ხშირად ძალიან ცხარედაც, დღესაც ერთად ებრძვიან საერთო მტრს და, თუმცა ლეომ თავის მხრით ძლიერ ბევრი დაუთმო, მაგრამ თამროს ავტონომიის მანაც ვერაფერი ჩამოაკლო და, თუმცა ორივე მსურველია, მაგრამ მათი მეუღლეობის ჯაჭვით შეკავშირება, ამ ავტონომიის მიზეზით, ჯერაც კიდევ არ მომხდარა.

დ. ჭოფეგლი

რედაქტორი ფ. გოგინაიშვილი
გამომცემელი თ. დი პავლე ი. თუმანიშვილი.



ზოითხოვით ნამდვილი

„ოლოპრინი“ მ. პ. ლიბედიშისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას ღმეტბორცს ძირიან-ფესვიანად, მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22487.

იყიდება ტფილისში—საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობისა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (წლ.)

უოველკვირეული სხსალსო გაზეთი

გ ლ ე ს ი

გაზეთი ემსახურება მიწის მუშა გლეხობის ინტერებს: მიწა და თავისუფლება, მიწის მუშებს! გაზეთი ხელს შეუწყობს მშრომელ გლეხების განვითარებას, გამოარკვევს ადგილობრივ საქიროებას და გააცნობს ჩვენს გლეხებს რუსეთის და ევროპის გლეხობის მოძრაობას. პროლეტარიატი და გლეხობა ის მოწინავე რაზმია, ის მშრომელი კლასი, რომელიც თავის ოფლით ასაზრდოებს მთელს ქვეყანას და რომელიც უშუალებს კაცობრიობას განახლებას და ახალს, სამართლიანობასა, თანასწორობასა და თავისუფლებასზე დამყარებულს ცხოვრებას. ფასი გაზეთისა: წლის დაძღვევამ 1 მან. და 60 კაპ., სემის თვით—80 კა., ცაღვე №—6 კ.